პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 277 (13093) | ხუთშაბათი, 26 ნოემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

სახელოვანი 40 წელი

თურქმენეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან და ულოცავენ რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს ღირსშესანიშნავ თარიღს — თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და თურქმენეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს. ამ დღესასწაულს თურქმენ ხალხთან ერთად აღნიშნავს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რუსი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების ძმური დახმარებით რესპუბლიკის მშრომელებმა ბრძოლისა და შრომის დიდი და სახელოვანი გზა განვლეს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სამუდამოდ გაათავისუფალა თურქმენი ხალხი თვითმპყრობელობისა და ხანების ბატონობისაგან, უუფლებობისა და სიღატაკისაგან. მიანიჭა მას ეროვნული სოციალისტური სახელმწიფოებრიობა, საშუალება მისცა განეხორციელებინა გიგანტური ნახტომი ეკონომიურ და სულიერ განვითარებაში. სოციალისტური გარდაქმნების შედეგად თურქმენეთი გახდა აყვავებული საბჭოთა რესპუბლიკა, რომელსაც აქვს განვითარებული მრეწველობა, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მოწინავე სოციალისტური კულტურა. განუწყვეტლივ მაღლდება მშრომელთა ცხოვრების დონე, უფრო სრულად კმაყოფილდება მათი სულიერი მოთხოვნილებანი. ახალი ცხოვრების აქტიური, სრულუფლებიანი მშენებელი გახდა წარსულში დაბეჩავებული და შეურაცხყოფილი თურქმენი ქალი.

დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო გამარჯვება და მოძმე ხალხთა ურთიერთდახმარების მკაფიო დემონსტრაციაა ყარაყუმის არხის აგება, რამაც საშუალება მისცა თურქმენებს განეხორციელებინათ საუკუნოვანი ოცნება უდაბნოს დაპყრობისა. ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის სწრაფი განვითარებით, ბამბის წარმოების განუხრელი ზრდით, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებით რესპუბლიკის მშრომელებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს და შეაქვთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობაში.

თურქმენი ხალხის მიღწევები ეკონომიკის განვითარებასა და კულტურის აღმავლობაში დამაჯერებლად ცხადყოფენ საბჭოთა სოციალისტური წყობილების დიად ცხოველმყოფელ ძალას, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ ძმობასა და მეგობრობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ თურქმენეთის მშრომელნი კვლავაც აქტიურად იბრძოლებენ, რათა განახორციელონ პარტიის გენერალური ხაზი, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ XX, XXI და XXII ყრილობების გადაწყვეტილებებში, განახორციელონ კომუნისტური შენებლობის დიდებული ამოცანები.

გაუმარჯოს თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 40 წლისთავს! დიდება მის შრომისმოყვარე ხალხს!

გაუმარჯოს თურქმენეთის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს და მარად მტკიცდებოდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა — საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველობის ურყევი საფუძველი!

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** | **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

თურქმენი ხალხის დიდი დღესასწაული

საზეიმო სხდომა აშხაგადში

თურქმენეთის მშრომელები საზეიმოდ აღნიშნავენ სასიხარულო დღესასწაულს, თურქმენეთის რესპუბლიკისა და კომპარტიის სახელოვან ორმოც წლისთავს.

25 ნოემბერს საღამოს საზეიმოდ მორთულ კინო საკონცერტო დარბაზ „მშვიდობაში", რომელიც ამასწინათ აშენდა ქალაქის ცენტრში, გაიმართა თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თურქმენეთის უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა. სცენას ამშვენებს წითელ ტილოებში ჩასმული ციფრები „1924-1964". სცენის ცენტრშია ვ. ი. ლენინის ბიუსტი და თურქმენეთის სსრ სახელმწიფო გერბი.

დარბაზში არიან თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, თურქმენეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ვეტერანები.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს, დელეგაციებს: რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ი. ე. ეორონოვის მეთაურობით, მოსკოვის ოლქის დელეგაციას სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნის ვ. ი. პავლოვის მეთაურობით, ლენინგრადის დელეგაციას სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის ი. ი. ზავარუხინის მეთაურობით, უკრაინის დელეგაციას უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. ს. გრუშეცკის მეთაურობით, ბელორუსიის დელეგაციას ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. ფ. შაურის მეთაურობით, უზბეკეთის დელეგაციას უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის რ. ყურბანოვის მეთაურობით, ყაზახეთის დელეგაციას ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დ. კუნაევის მეთაურობით, საქართველოს დელეგაციას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის პ. ა. როდიონოვის მეთაურობით, აზერბაიჯანის დელეგაციას აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ე. ნ. ალიხანოვის მეთაურობით, ლატვის დელეგაციას ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ბ. ბარაუსკასის მეთაურობით, მოლდავეთის დელეგაციას მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ნ. ა. მელნიკოვის მეთაურობით, ლიტვის დელეგაციას ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ე. ა. ბეშენის მეთაურობით, ყირგიზეთის დელეგაციას ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ. მამბეტოვის მეთაურობით, ტაჯიკეთის დელეგაციას ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. კახაროვის მეთაურობით, სომხეთის დელეგაციას სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ს. მელქონიანის მეთაურობით, ესტონეთის დელეგაციას ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ფ. ს. უშანგის მეთაურობით.

პრეზიდიუმში არიან თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ოვეზოგი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შუა აზიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ს. მ. ვესელოვი, თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები: ვ. ნ. რიკოვი, ი. ხუდაიბერდიევი ბ. ნ. მორალოვი, ა. კლიჩევი, მ. გაპაროვი, ა. იშანყლიევი, დ. ი. პიშჩელინი, თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი ფ. კ. ბაიგეშევი, რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები, ბუშათა კლასის, სოფლის მშრომელების, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ოვეზოგმა. იგი მიესალმა ეკიერფას სტუმრებს, შეკრებილთ მიულოცა დიდი ღღესასწაული.

ტაშის გრიალში აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობით.

მოხსენება — „ლენინური კურსით კომუნიზმისაკენ" — გააკეთა ამხ. ბ. ოვეზოგმა.

თავისუფალი და ბედნიერი თურქმენი ხალხი, თქვა ბ. ოვეზოგმა, სახელოვან იუბილეს — თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და თურქმენეთის კომუნისტური პარტიის მე-40 წლისთავს ეგებება დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმაფლობის ვითარებაში.

რესპუბლიკის მშრომელები მტკიცედ იბრძვიან იმისთვის, რომ წარმატებით განახორციელონ პარტიის XX, XXI, XXII ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებები, სკკპ პროგრამა. ყრილობათა გადაწყვეტილებების განხორციელების გზაზე, პარტიის ლენინური კურსის რეალიზაციის გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმები.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე რესპუბლიკაში მოხდა უდიდესი გარდაქმნები, უპირატესად განვითარდა მსხვილი მრეწველობა. ამ წლების განმავლობაში მისი პროდუქცია 65-ჯერ და მეტად გაიზარდა.

შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები — ნავთობგადასამუშავებელი, ქიმიური, მანქანათსამშენებლო და საშენ მასალათა დარგები, აშენდა და უახლესი ტექნიკით აღიჭურვა კრასნოვოდსკის ნავთობგადასამუშავებელი, ჩელეკენის ოიდბრომის და ჩარჯოუს სუპერფოსფატის ქარხნები. განვითარების გზაზე მდგომი ინდუსტრიის ბაზაზე შეიქმნა ახალი თანამედროვე ქალაქები—ნებიტდაგი, ჩელეკენი, ბეზმეინი.

ნავთობმოპოვებითი და ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობის შემდგომი განვითარება რესპუბლიკის მშრომელთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. უკვე მოძავალ წელს ნავთობის მოპოვებამ გეგმის მიხედვით უნდა შეადგინოს 9,5 მილიონი ტონა, 1970 წელს კი — 15,5 მილიონი ტონა.

უდიდეს პოტენციურ შესაძლებლობებს შეიცავს გაზის მრეწველობის განვითარება, განსაკრძო მოძხსენებელმა. ბუნებრივი გაზი რესპუბლიკაში იმდენია, რომ არა მარტო დააკმაყოფილებს თურქმენეთის მოთხოვნილებებს, არამედ შეიძლება მისი ტრანსპორტირება ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში.

სწრაფი ტემპით ვითარდება ქიმიური მრეწველობა. მისი საერთო პროდუქციის მოცულობა მარტო უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ერთიორად გადიდდა.

ახლანდელი თურქმენეთი ახალშენებლობათა რესპუბლიკაა. მარტო შვიდწლედის წლების განმავლობაში საეკსპლოატაციოდ გადაეცა 85 სამრეწველო ობიექტი, აშენდა ბევრი სკოლა, საავადმყოფო, საბავშვო ბაღი-ბაღი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა დაწესებულებანი.

ორმოცი წლის განმავლობაში მთლიანად გარდაქმნა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. ათეულ ათასობით დაქსაქსული ერთპიროვნული მეურნეობის ნაცვლად შეიქმნა მსხვილი მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები — კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

დიდმა საირიგაციო მშენებლობამ, რომელიც გაიშალა რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე, ძირეულად შეცვალა მხარის ეკონომიკა. სათესი ფართობები სარწყავ მიწებზე თითქმის ერთიორად გადიდდა, ხოლო ბამბისა — ოთხჯერ. გასულ წელს რესპუბლიკამ სახელმწიფოს მიჰყიდა 459 ათასი ტონა ხამი ბამბა, თითქმის 13-ჯერ მეტი, ვიდრე 1924 წელს.

დაძაბულად შრომობენ ბამბის მთესველები მიმდინარე საიუბილეო წელს. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ აიღონ მოყვანილი მოსავალი, სამშობლოს მისცენ 465 ათასი ტონა ბამბა.

ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელი, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, საბინაო პირობების გაუმჯობესებაა. რესპუბლიკის ქალაქებში შვიდი წლის მანძილზე აშენდა სამ მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. ათასობით ახალი სახლი აშენდა სოფლად.

თურქმენეთში ნამდვილი რევოლუცია მოხდა კულტურის დარგში.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 63 ათასი სპეციალისტი.

თურქმენეთში გაიზარდა მეცნიერული და შემოქმედებითი ინტელიგენციის შესახიშნავი კადრები. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასა და 58 სამეცნიერო დაწესებულებაში შრომობს 2,5 ათასზე მეტი მეცნიერი.

უმაგალითოდ გაიფურჩქნა ეანრობრივად მრავალფეროვანი თანამედროვე თურქმენული ლიტერატურა.

თურქმენეთის კომუნისტების, მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის სახელით ამხ. ბ. ოვეზოგმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ რესპუბლიკის მშრომელები კიდევ უფრო მტკიცედ იბრძოლებენ პარტიის XXII კონგრესის ისტორიული გადაწყვეტილებების, სკკპ პროგრამის განხორციელებისათვის, ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

სხდომის თავმჯდომარემ თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. კლიჩევმა სიტყვა მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით ა. ნ. კოსიგინმა მხურვალედ მიულოცა თურქმენეთის ყველა მშრომელს, დიდი დღესასწაული — თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეორმოცი წლისთავი, თურქმენეთის კომუნისტური პარტიის მე-40 წლისთავი.

ჩვენი საამობოლოს ხალხთა ძმური ოჯახი ერთიანი მიზნებითა და იდეალებით ცხოვრობს. მათ საერთო ინტერესები და საერთო სიხარული აქვთ. ამიტომ დღევანდელი ზეიმი არა მარტო თურქმენი ხალხის, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ზეიმია, თქვა ორატორმა.

თურქმენეთის სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამან ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ რუსეთის ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენი დიადი საამობოლოს ყველა ხალხს, ყველა ეროვნებას გაუხსნა თავისუფალი და შემოქმედებითი ცხოვრების გზა. სოციალისტური თურქმენეთის ქმნადობა ეროვნული საკითხის, ერთ-ერთი ყველაზე ძნელი სოციალურ-პოლიტიკური საკითხის ლენინურად გადაჭრის ცოცხალი და მკაფიო მაგალითია. და ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ, ჩვენი კომუნისტური პარტიის პოლიტიკამ თავისი ბაყოფი გამოიღო. რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა რაიონის ნაცვლად, რომელიც არსებითად ცარიზმის კოლონია იყო, წარმოიშვა, გაიზარდა და განმტკიცდა თურქმენი ხალხის თავისუფალი სუვერენული სოციალისტური რესპუბლიკა.

საბჭოთა თურქმენეთის მშენებლობა ჩვენი დიადი საამობოლოს ყველა ხალხისა და უწინარეს ყოვლისა რუსი ხალხის, მისი რევოლუციური მუშათა კლასის მახლობელი და ღვიძლი საქმე გახდა. საბჭოთა ადამიანები, თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულნი, ეანგარიშენ თავიანთ ძმებს — თურქმენეთის მშრომელებს აეშენებინათ ახალი საზოგადოება, აეძაღლებინათ და განვითარებინათ მისი ეროვნული მეურნეობა.

ისტორიაში არ ყოფილა მაგალითი, რომ ჩამორჩენილი, ჩაგრული ქვეყანა, რომლის ხალხი შუა საუკუნეების წესჩვეულებათა, ცარიზმის კოლონიური ბატონობის პირობებში არსებობდა, ერთი თაობის სიცოცხლეში გადაქცეულიყოს აყვავებულ თანამედროვე სახელმწიფოდ, რომელსაც მაღალგანვითარებული ეროვნული მეურნეობა და კულტურა აქვს.

საბჭოთა ადამიანების მიღწევებმა მთელი მსოფლიოს აღტაცება გამოიწვია. ამ მიღწევებს განეკუთვნება უდიდესი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებაში.

სიტყვაში ნათქვამია, თუ რა დიდი წარმატებანი მოიპოვა თურქმენეთმა განვლილი 40 წლის მანძილზე. იგი გახდა ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური რაიონი, რომელიც სახალხო მეურნეობას აძლევს ბევრი სახეობის ნედლეულსა და პროდუქტებს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ორატორი მხურვალედ მიესალმა თურქმენ მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და სხვა სპეციალისტებს, რომლებიც შრომობენ სამიუბო პარტიებში, სარწყებსა და ნავთობგადასამუშავებელ საწარმოებში და პირნათლად ასრულებენ ამოცანებს, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დააყენა მათ.

ეკონომიკის მრავალმხრივმა განვითარებამ საშუალება მისცა რესპუბლიკას გასულიყო მსოფლიო ბაზარზე და გაეტანა ძვირფასი სახეობათა სამრეწველო პროდუქცია. თურქმენეთს ახლა საზღვარგარეთ გააქვს არა მარტო ტრადიციული, ოდითგანვე განთქმული ხალიჩები და კარაული. ბევრ ქვეყანაში თურქმენეთი ცნობილია როგორც ნავთობის, გოგირდის, სამრეწველო მოწყობილობის მომწოდებელი.

სიტყვაში აღინიშნა ძირეული გარდაქმნები სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, რომელიც თურქმენეთის სახალხო მეურნეობის თანამედროვე მექანიზებული დარგი გახდა. ბარმახ თურქმენეთის ბამბის მთესველებმა მოიყვანეს რესპუბლიკისათვის რეკორდული მოსავალი, წელს კი ვალდებულება აიღო სახელმწიფოს მიჰყიდოს უფრო მეტი ბამბა. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ა. ნ. კოსიგინი მხურვალედ მიესალმა თურქმენეთის ბამბის შესანიშნავ ოსტატებს — კოლმეურნეებს, აგრონომებს, სელექციონერებს, მეცნიერებს და ყველას, ვინც მუშაობს ამ საპატიო ამოცანის შესასრულებლად.

როცა სიამაყით აღვნიშნავთ დიდ წარმატებებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში, არ შეიძლება არ შეგეხოთ ნაკლოვანებებსაც. ერთ-ერთი მთავარი ნაკლია უკვე არსებულ საირიგაციო სისტემათა სუსტი გამოყენება. ყარაყუმის არხი დიდი საირიგაციო ნაგებობაა. მის მშენებლობას დიდძალი სახსრები და შრომა მოხმარდა. მაგრამ სრულად როდი ვიყენებთ შესაძლებლობებს, რომლებსაც ეს ნაგებობა ქმნის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. უახლოეს წლებში მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს სარწყავი მიწების ფართობი.

ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში შემცირდა ცხვრის სულადობა. ეს დიდი დანაკლისია. მეცხოველეობის კიდევ უფრო განვითარება მთელი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელესი ამოცანაა, და თურქმეხეთის მშრომელები, რა თქმა უნდა, ღირსეულ მონაწილეობას მიიღებენ ამ ამოცანის შესრულებაში.

ორატორი შეეხო თურქმენეთის კულტურის განვითარების და ხახგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მეცნიერებმა, მწერლებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა და მსახიობებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს სოციალისტური კულტურის საერთო საგანძურში. საბჭოთა თურქმენეთი თავის იღბილეს სულიერი ძალლონით აღსავსე ხვდება.

სოციალიზმის ყველაზე დიდი მიღწევაა ახალი ადამიანი. ახალი ფორმაციის ადამიანები არიან როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომელთა ერთგულებამ საბჭოთა ხელისუფლებისადმი და თავდადებულმა შრომამ საფუძველი ჩაუყარა თურქმენი ხალხის გამარჯვებებს, ისე ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობაც. რესპუბლიკის ქალაქშიც და ქობუკებში მუდამ მზრუნავენ და ქობუკები ერთგულ პარტიისა და კომკავშირის ყოველ მოწოდებას, მადიოდნენ ყველაზე ძნელ უბნებზე. სოციალიზმის ერთერთი თვალსაჩინო მონაპოვარია ქალის განთავისუფლება. ახლა თურქმენი ქალები რესპუბლიკის ყველა სფეროში მონაწილეობენ.

ნება მიბოძეთ, თქვა ორატორმა, ამ მაღალი ტრიბუნიდან მივესალმო თურქმენ ქალებს და მთელი გულით ვიძღვნა მადლობა ფასდაუდებელი წვლილისათვის კომუნიზმის მშენებლობაში, მათი ჯეროვნ, შრომისმოყვარეობისა და ნიჭისათვის.

შემდეგ ორატორმა აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ამოცანებს. სკკპ ეხება იმას, რომ ეკონომიკის განვითარებაში მოპოვებული ყველა წარმატება რაც შეიძლება სწრაფად და უფრო ეფექტიანად მოვახმაროთ ხალხის კეთილდღეობას. მაგრამ ამასთან განუხრელად უნდა ვაუმჯობესებდეთ ყველა სახეობის სამრეწველო პროდუქციის, ერთძოდ, სამომხმარებლო საქონლის ხარისხს.

თურქმენეთის სსრ ორმოცი წლის გამოცდილება ცხადყოფს, რომ გაიმარჯვა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიამ და პოლიტიკამ. ყველა ჩვენი წარმატება და მონაპოვარი ეკონომიკისა და კულტურის დარგში, ყველა სოციალისტური გარდაქმნა მიღწეულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ნამუდვილად ძმური ურთიერთობის პირობებში. ჩვენი ქვეყნის ხალხები ეხმარებიან ერთმანეთს, და ყოველი მათგანი ცდილობს მაქსიმალური წვლილი შეიტანოს საერთო საგანძურში. საბჭოთა თურქმენეთი თავის იღბილეს სულიერი ძალლონით აღსავსე ხვდება.

სოციალიზმის ყველაზე დიდი მიღწევაა ახალი ადამიანი. ახალი ფორმაციის ადამიანები არიან როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომელთა ერთგულებამ საბჭოთა ხელისუფლებისადმი და თავდადებულმა შრომამ საფუძველი ჩაუყარა თურქმენი ხალხის გამარჯვებებს, ისე ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობაც. რესპუბლიკის ქალაქშიც და ქობუკებში მუდამ მზრუნავენ და ქობუკები ერთგულ პარტიისა და კომკავშირის ყოველ მოწოდებას, მადიოდნენ ყველაზე ძნელ უბნებზე. სოციალიზმის ერთერთი თვალსაჩინო მონაპოვარია ქალის განთავისუფლება. ახლა თურქმენი ქალები რესპუბლიკის ყველა სფეროში მონაწილეობენ.

ნება მიბოძეთ, თქვა ორატორმა, ამ მაღალი ტრიბუნიდან მივესალმო თურქმენ ქალებს და მთელი გულით ვიძღვნა მადლობა ფასდაუდებელი წვლილისათვის კომუნიზმის მშენებლობაში, მათი ჯეროვნ, შრომისმოყვარეობისა და ნიჭისათვის.

შემდეგ ორატორმა აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ამოცანებს. სკკპ ეხება იმას, რომ ეკონომიკის განვითარებაში მოპოვებული ყველა წარმატება რაც შეიძლება სწრაფად და უფრო ეფექტიანად მოვახმაროთ ხალხის კეთილდღეობას. მაგრამ ამასთან განუხრელად უნდა ვაუმჯობესებდეთ ყველა სახეობის სამრეწველო პროდუქციის, ერთძოდ, სამომხმარებლო საქონლის ხარისხს.

თურქმენეთის სსრ ორმოცი წლის გამოცდილება ცხადყოფს, რომ გაიმარჯვა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიამ და პოლიტიკამ. ყველა ჩვენი წარმატება და მონაპოვარი ეკონომიკისა და კულტურის დარგში, ყველა სოციალისტური გარდაქმნა მიღწეულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ნამუდვილად ძმური ურთიერთობის პირობებში. ჩვენი ქვეყნის ხალხები ეხმარებიან ერთმანეთს. და ყოველი მათგანი ცდილობს მაქსიმალური წვლილი შეიტანოს საერთო საგანძურში. საბჭოთა თურქმენეთი თავის იღბილეს სულიერი ძალლონით აღსავსე ხვდება.

სოციალიზმის ყველაზე დიდი მიღწევაა ახალი ადამიანი. ახალი ფორმაციის ადამიანები არიან როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომელთა ერთგულებამ საბჭოთა ხელისუფლებისადმი და თავდადებულმა შრომამ საფუძველი ჩაუყარა თურქმენი ხალხის გამარჯვებებს, ისე ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობაც. რესპუბლიკის ქალაქშიც და ქობუკებში მუდამ მზრუნავენ და ქობუკები ერთგულ პარტიისა და კომკავშირის ყოველ მოწოდებას, მადიოდნენ ყველაზე ძნელ უბნებზე. სოციალიზმის ერთერთი თვალსაჩინო მონაპოვარია ქალის განთავისუფლება. ახლა თურქმენი ქალები რესპუბლიკის ყველა სფეროში მონაწილეობენ.

ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში შემცირდა ცხვრის სულადობა. ეს დიდი დანაკლისია. მეცხოველეობის კიდევ უფრო განვითარება მთელი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელესი ამოცანაა, და თურქმეხეთის მშრომელები, რა თქმა უნდა, ღირსეულ მონაწილეობას მიიღებენ ამ ამოცანის შესრულებაში.

ორატორი შეეხო თურქმენეთის კულტურის განვითარების და ხახგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მეცნიერებმა, მწერლებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა და მსახიობებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს სოციალისტური კულტურის

ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ

რᲕᲐ წლის წინათ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კადრების განყოფილების გამგემ ალექსანდრე ქავთარაძემ მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის კურსდამთავრებული ალაზანგაღლილი ჭაბუკი ივანიდან ალექსანდრეს-ძე ბრეგვაძე მიიღო და გამოესაუბრა.

მის წინ იდგა მოხდენილად ტანადი, სანდომიანი სახის, მორიდებული, კუნთმაგარი ჭაბუკი, რომლის შუბდვისთანავე იტყვიან — იმრავლონ შენისთანებმა ჩვენს შთამომავლობაშიო. ჭაბუკი იდგა მიაჩერები, ბავშვური გამომეტყველებით და სანამ გამგე მის მიერ ჩაბარებული ქაღალდების ფურცლებს ათვალიერებდა, ჭაბუკი ხან წითლდებოდა, ხან ზაფრანის ფერი დადებოდა სახეზე, არ იცოდა რა ექნა, ცახცახიც ემჩნეოდა, თუმცა რა ჰქონდა საცახცახო, როცა ათლეტური გარეგნობა არაორმოფულად ცხადყოფდა, რომ თუ საქმე მოიტანდა, შეეძლო ცოცხალი ვეფხვის შეკვლა. გამგემ ერთხელ კიდევ შეათვალიერა მისი მაგიდის წინ მდგომი და უთხრა:

— კარგი, მიგიღეთო! ოღონდ იმ პირობით, რომ... სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა სადა კაბინეტის მფლობელს, ახალგაზრდას ერთხელ კიდევ გადაურბინა სახეზე ალისფერმა, ის იყო წასასვლელად ნაბიჯიც გადადგა, ქავთარაძის ბოლო სიტყვებს რომ არ შეეჩერებინა:

— იღონდ იმ პირობით, რომ სწავლას ხელს არ შეუშვებ, უმაღლესში შეხვალ. ჩვენ ინჟინრები არანაკლებ გვჭირდებიან. ამიტომ ყველა პირობას შეგიქმნით, თან იმუშავებ, თან ისწავლი. თანახმა ხარ?

— თანახმა გახლავართ, ჩემი ოცნებაც ეგ არის!

...ბევრს ნიშნავს, თურმე, როცა ახალგაზრდა თავის მოწოდებას მიაგნებს, თავადვე საუკარელ საქმეს ჩასჭიდებს ხელს, შეეზრდება საწარმოს, დაეუფლება ხელის სიმარჯვის ჩვევებს და შემდგომში ამ ჩვევებს თეორიის შესწავლით განიმტკიცებს.

ივანაფილ ბრეგვაძემ ოცნება შეასრულა, უმაღლესი ტექნიკური განათლება მიიღო და ინჟინერ-მექანიკოსის დიპლომით აღჭურვილს, ერთი დღითაც არ მიუტოვებია კბილანსაჭრელ უბანზე მუშაობა. კვლავაც განაგრძობდა უბნის ოსტატის თანაშემწეობას. კიდევაც უკვირდათ მის აქნანაგებს — რისთვის სწავლობდი, კეთილო, რისთვის მიაკალ თავი მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიების შესწავლას, თუ ისევ კბილანსაჭრელი უბნის ოსტატის თანაშემწედ დარჩებოდი.

დრო გადიოდა. კბილანსაჭრელი უბნის ოსტატის თანაშემწედ მომუშავე ახალბედა ინჟინერ-მექანიკოსმა თავისი პროფესიული საქმიანობა მხატვრულ სისრულემდე აიყვანა, წარმოების ორგანიზაციის საუკეთესო უნარი გამოამჟღავნა და მალე იგი საინჟინრო საშუშაოზე — კბილანსაჭრელი უბნის უფროს ოსტატად დაიწინაურეს. საქმე მშვენივრად მოწესრიგდა.

მშვენივრადო?

...ბომბის აფეთქების ხმასავით შესძრა ჩარხსამშენებლო ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივი გასულ ზაფხულს გახმაურებულმა ამბავმა იმის შესახებ, რომ... ფინელებმა დაიწუნეს თბილისური მარკის ჩარხი, უხეში ნაკეთებია, დაუდევრად შეღებილი, არამიზნეველიო. საგანგაშო, სახელგამტეხმა ამბავმა დაიღონა ჩარხმშენებლები და არა მარტო ისინი, რესპუბლიკის ჩარხმშენებელთა ამ მოწინავე რაზმის სახელოვანი შრომითი ტრადიციების ყველა პატივისმცემელი.

— შეგვარცხვინეს, თავი მოგვჭრეს, და სამწუხარო ის არის, რომ სავსებით მართებულად. დამსახურებულად! — ამბობდნენ ჩარხმშენებლები და მწარე გულისწყრომას გამოთქვამდნენ თავიანთი იმ ამხანაგების მიმართ, ვინც დაუდევარი, ზერელე მუშაობით შეუფღალა კოლექტივს ათეულ წლობით თავდადებული შრომის ფასად მოპოვებული სახელი, უპასუხისმგებლოდ, ტლანქად გაფორმებული ჩარხები გამოუშვა. უცხოელებს კი რა ენაღვლებოდათ, საბაბი იშოვნეს, ჯარიმის სახით ჯიბეში ოქროს ჩარხრიალების შესაძლებლობა ნახეს და რატომაც არ ისარგებლებდნენ ამ შესაძლებლობით!

ჩარხმშენებლებისათვის კი თავის მართლების ყველა გზა, გარდა ერთისა, გადაჭრილი იყო. მხოლოდ ამ ერთადერთი გზით შეეძლოთ მათ ავტორიტეტის აღდგენა, სამარცხვინო ლაქის გადარეცხვა, რეაბილიტაცია. ეს გზა იყო ჩარხების ხარისხის, მათი გარეგნობის, საიმედოობის, ტექნიკური გამართულობის, ზედმიწევნილობისა და ესთეტიკური მოხდენილობის უმაღლეს საფეხურზე, ისეთ სიმაღლეზე აყვანა, რომ წენია უცხოელები პირში ბურთჩაჩრილები აღმოჩენილიყვნენ. მაგრამ ყოველივე ეს ადვილი საქმე როდია.

ამბობენ ხოლმე: ყოველი ლეონოდდასამუშავებელი ჩარხის, განსაკუთრებით ისეთი კლასის ჩარხის, როგორიც „163“ ტიპის ჩარხია, გული მოძრაობის კბილანურ გადაცემათა სისტემა არიაო. თუ კბილანები უმაღლესი სიმაგრით არიან ნაწრთობნი, კარგად მუშაობენ, თუ მათი ურთიერთშეხების სიბრტყეებზე ღრეჩო მიკრონის ნაწილაც არ აღემატება, მაშინ კბილანების სიბრტყეები ერთმანეთს ოდნავაც არ შეეჯახებიან, „ცემას“, როგორც მეჩარხეები იტყვიან, ადგილი არ ექნება, ჩარხი დიდხანს იმუშავებს, გამძლე, საიმედო იქნება. წარმოიდგინეთ, რა სიზუსტე მართებთ კბილანმჭრელებს იმისათვის, რომ ეს „ცემა“ მოხპონ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანის თმის ღერის სიმსხო ხშირად 30 მიკრონს აღწევს.

აქვე ვიტყვით, რომ უცხოელების პრეტენზიათა მართებულობის შესამოწმებელად ქარხანაში მოვიდნენ ჩარხმშენებლობაში გამოცდილი სპეციალისტები, დაარღვიეს დაწუნებული ჩარხი, გულდასმით შეამოწმეს მისი ყოველი კვანძი, ყოველი დეტალი, რასაკვირველია, ჩარხის „გულიც“ — კბილანური გადაცემის სისტემა, საგანგაშო წუნსადები მაინც დამაინც ბევრი ვერაფერი ნახეს, ოღონდ ურჩიეს კბილანმჭრელებს კბილანების მეტი სიმაგრით წრთობა. სხვა რეკომენდაციებიც მისცეს ჩარხების ხარისხის შემმოწმებლებმა ხარატებს, ზეინკალ-ამწყობებს, ლითონმბურღავებს, მღარავებს. ამ რეკომენდაციების გასანაღდებლად (ეს უკვე ყველა პროფესიის ჩარხმშენებლისათვის ნათელი შეიქნა), საჭირო იყო ტექნოლოგიური დისციპლინის მტკიცედ, უოყეად შესრულება, ისეთი მდგომარეობის მიღწევა, რომ ყოველი ხარახუ დიტალი, ყოველი ქანჩი და პატარა ხრახნიც კი პირველი წარდგენისთანავე „უმაღლესი ხარისხის“ შეფასებით ჩაებარებინათ. ამწყობებს კი ამ დეტალებისაკენ ყოველი კვანძი გულდასმით, ზედმიწევნითი სიბეჯითის გამოჩენით აეწყოთ, ერთი ნაბიჯითაც არ გადაეხვიათ ტექნოლოგიური რეჟიმით დაწესებული კალაპოტიდან და, თუ შეძლებდნენ, კიდევ მეტად შეემცირებინათ ის ბედუკულმართი „ცემა“.

რას ჰქვია, „თუ შეძლებენ“, უსათუოდ უნდა შეეძლოთო, თქვეს კბილანმჭრელებმა და ერთსულოვნად იკისრეს:

— წელსვე, 1965 წლის დადგომამდე უზრუნველყოთ კბილანათა „ცემის“ მაქსიმალურად, უფრო ზედმიწევნით შემცირება!

ეს იყო 1964 წლის აგვისტოში, ზაფხულის მიწურულში, როცა ჩაღდებოდა საწარმოთა კოლექტივების მასობრივი შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 47-ე წლისთავისათვის უკეთესი საწარმოო საჩუქრების მისაძღვნელად. ქარხნის პირველი მექანიკური საამქროს კბილანსაჭრელი უბნის კოლექტივი შრომის ვახტზე დადგა და შეუდგა ჩარხმშენებლობაში ამ მაღალი მწვერვალის დასაპყრობად ლაშქრობას, რომელსაც აფენილი კოლმეურნის ერთ დროს მეტად მორცხვი შვილი, ახლა უკვე მომწიფებული ინჟინერ-მექანიკოსი ივანაფილ ბრეგვაძე ხელმძღვანელობდა.

მწვრთობელ კოტე ბირთველიშვილის, კბილანამხეხავ ალექსანდრე ტარასენკოს, მბურღავ თამაზ ათანელაშვილის, ხარატების გიორგი გაგვაშვილისა, და ვაჟა შპეტრაშვილის, ამ უბანზე მომუშავე 100-ზე მეტი მუშის ფიქრსა და ლითონთან ჭიდილში დაობადა საკბილანო დეტალების დასამუშავებლად ტექნოლოგიური ხაზისათვის კიდევ ერთი რგოლის დამატების, ჩაოცრად გონებამახვილური კიდევ ერთი შრომითი ოპერაციის შესრულების იდეა, რათა კბილანთა მუშა სიბრტყეები ერთიმეორის იდეალურად შესაბამისნი გამოვიდნენ და მათი ურთიერთ „ცემა“ თითქმის ნულამდე დავიდეს.

ახლა უკვე თითქმის მზად არის ტექნოლოგიური ხაზის ეს დამატებითი რგოლიც. ივანაფილ ბრეგვაძის განაგარიშების მიხედვით გაწეული შრომის მოხალოდნელი მაღალი ეფექტურობა ეჭვს არ იწვევს. ზეზუსტი მეთოდით დამუშავებული კბილანები იმდენად აამაღლებენ თბილისური მარკის ჩარხის ხარისხსა და საიმედოობას, რომ ჩვენი ხარატების მადლობას დაიმსახურებენ ფინელი წუნიებსაც სათქმელი არა დარჩებათ რა.

საოკეანმბრო შრომითი ვახტი კბილანსაჭრელ უბანზე ხარისხისათვის ბრძოლის შრომითმა ვახტმა შეცვალა, არ შენელებულა კბილანმჭრელთა შემოქმედებითი აზრის დუღილი, ძიება და ცდები, თბილისური ჩარხის სახელის აღდგენისათვის იუველირული სიფაქიზით შრომა. ან რა შეიანელებს, როცა ამ დუღილ ცეცხლის შემეკიდებად ჰყავს დაუდეგარი შემართების ადამიანი, კბილანების სწავლული ოსტატი, რომლის შესახებ ჩარხმშენებლები სიყვარულით ამბობენ:

— გულითადი კაცია, თავისი საქმის პროუესორია ჩვენი ავიო!

დ. ლომთაძე.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ა. ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔ.

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ — ᲓᲐᲜᲐᲞᲐᲠᲒᲔᲑᲘᲗ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ მარგანეცის საბადოებსა და გამამდიდრებელ ფაბრიკებში დიდი მუშაობა ხორციელდება მადნის საექსპლოატაციო დანაკარგების შესამცირებლად, რის გამო ეს დანაკარგები ყოველწლიურად მცირდება. მარტო უკანასკნელ ოთხ წელიწადში ჭიათურის მარგანეცის მაღაროებსა და გამამდიდრებელ ფაბრიკებში მადნის საექსპლოატაციო დანაკარგები 4,2 პროცენტით შემცირდა და არ აღემატებოდა ტრესტისათვის დაწესებულ ნორმატივებს. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჭიათურის აუზის ზოგიერთ სამმართველოსა და საწარმოს უბნებში მარგანეცის მოპოვების, გამდიდრებისა და გადამუშავების დროს დანაკარგების პროცენტი შარშან და მიმდინარე წლის პირველ სახევარში მაინც დიდი იყო.

ეს ზედგამარეინა ყოველმხრივ — იქნა შესწავლილ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის მიერ, რომელმაც დასახა ერცელი ღონისძიებანი ამ დარაღა ახსნებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რეპუბლიკური კომიტეტის დადგენილება გასნილია ექნა მაღაროებთან და მარგანეცის გამამდიდრებელ ფაბრიკებთან არსებულ ხელმეწყობ ჯგუფებსა და საგუშაოებში. დაისახა ღონისძიებანი, რომელთა პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩაება ათასობით სახალხო კონტროლიორი, აქტივისტი.

დაწესებულ იქნა მუდმივი კონტროლი გამამდიდრებისა და ბუღლეა-აფეთქების ხარისხისადმი.

მიღებულ-ია ავრეთვე ზომები მთელიანების სასაკ მარგანეცის მადნის დანაკარგების შემცირების შესახებ. მონგრეული მადნის სრულყოფილად დაწმენდის მიზნით ღენინის სახელობისა და ახალი ი.ბ.ვ.ისის მაღაროების ყველა ლაგნი მიმგრეკესტი არიან გადამნიჩებელები. ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ მმართველობამ განახორციელა ღონისძიებანი მაღაროთა სამმართველოებში ეფოლოგიური და სამეთოდოლოგიური სამსახურის გაუმჯობესებლად.

დასახელებულ და სხვა ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ნედლი მადნის საექსპლოატაციო დანაკარგები ჭიათურის მარგანეცის აუზში 1964 წლის 9 თვეში, 1963 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3,4 პროცენტით შემცირდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ღენინის, კალინინის სახელობის და ახალი ი.ბ.ვ.ისის მაღაროთა სამმართველოების ნაყოფიერი მუშაობა. ღენინის სახელობის მაღარომ მადნის საექსპლოატაციო დანაკარგები 1963 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7,2 პროცენტით შეამცირა, ხოლო ახალი ი.ბ.ვ.ისის და კალინინის სახელობის მაღაროებმა — თვითეულმა 3,1 პროცენტით.

ამგვარად ჭიათურის მარგანეცის აუზში მუშაობას აწარმოებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ბუდობთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტი. მეცნიერთა მიზანია მადნის მონგრევისათვის აფეთქების დროს ისეთი პარამეტრების დადგენა, რომ აფეთქებამ მონგრეული მადნი არ გაფუსტოს და იქვე — ლავების პირველ რიგში ანდა მცირე ნაწილი მეორე რიგში დაყაროს. ამ მუშაობის პირველი შედეგები კარგია, მაგრამ მეცნიერება ამაზე არ შეჩერდებიან, ისინი მომავალში განაგრძობენ მუშაობას აღნიშნულ-მეთოდის სრულყოფისა და წარმოებაში დანერგვის მიზნით, რაც დიდად შეიწყობს ხელს მარგანეცის მადნის საექსპლოატაციო დანაკარგების შემცირებას.

როგორც ცნობილია, დიდია მარგანეცის სასაჭონლო მადნის დანაკარგები გამამდიდრებელ ფაბრიკებში გადამუშავების დროს. საჭიროა ჭიათურელმა მშენებლებმა, სამშენებელო ორგანიზაციებთან არსებულმა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშეწყობმა ჯგუფმა მთელი ძალით იბრძოლონ ჭიათურის მარგანეცის მადნის გამდიდრების პროცესში სასარგებლო კონცენტრატის დანაკარგების ლიკვიდაციისათვის.

ჭიათურელი მშრომელები მოუთმენლად მოელიან ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკის მშენებლობის დამთავრებას, რომელიც 1965 წლის ბოლოსათვის არის გათვალისწინებული. აღინიშნული ფაბრიკა მთლიანად უზრუნველყოფს შლამებიდან მარგანეცის სასარგებლო კონცენტრატის ამოკრეფას, მაგრამ ფაბრიკის მშენებლობა დღემდე ნელი ტემპით მიმდინარეობდა ძირითადად მუშახელის ნაკლებობის გამო. ამიტომ მაღაროელმა კომუნისტებმა სურვილი გამოთქვეს წასულიყვნენ ფაბრიკის მშენებლობაზე სამუშაოდ. დღეისათვის მშენებლობაზე 100 კომუნისტი და უპარტიო ამხანაგია მისული, მათგან შეიქმნა კომპლექსური ბრიგადები, რამაც შესამჩნევად წასწია წინ მშენებლობა. პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა მხარი დაუჭირა მაღაროელთა პატრიოტულ თაოსნობას და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინა ფაბრიკის ახალმშენებლებს. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა შეეშნა მშენებლობის ხელშეწყობი საკუთარ აქ მოუშვა აქტივისტების მონაწილეობით, რომლებიც კონტროლს აწესებენ მომავალი ფაბრიკის სამშენებლო მასალებთან და ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკმეზე.

ჭიათურის მარგანეცის მადნის გამდიდრების დროს დანაკარგების შემცირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი ობიექტის მშენებლობას, როგორიც არის ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის საფლოტაციო საამქრო, რომელიც უმოკლეს ხანში გადაეცემა საექსპლოატაციოდ. ირონიადად დამთავრებულია აგრეთვე დიტეხატური მეთოდით ღარიბი მადნების ქიმიური გამდიდრების საცდელი დანადგარის მშენებლობა. დარჩენილია მონტაჟი მოწყობილობისა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მიღებული ჩვენი ქვეყნის მექანიკური ქარხნებიდან.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მშენებლობა დიმინშენელოვანი ობიექტისა, რომელიც მარგანეცის მადნის საექსპლოატაციო დანაკარგების შემცირებას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, ეფექტურ ფაბრიკის ფაბრიკის ახალმშენებლებს. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა შეეშნა მშენებლობის ხელშეწყობი საკუთარ აქ მოუშვა აქტივისტების მონაწილეობით, რომლებიც კონტროლს აწესებენ მომავალი ფაბრიკის სამშენებლო მასალებთან და ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკმეზე.

ჭიათურის მარგანეცის მადნის გამდიდრების დროს დანაკარგების შემცირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი ობიექტის მშენებლობას, როგორიც არის ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის საფლოტაციო საამქრო, რომელიც უმოკლეს ხანში გადაეცემა საექსპლოატაციოდ. ირონიადად დამთავრებულია აგრეთვე დიტეხატური მეთოდით ღარიბი მადნების ქიმიური გამდიდრების საცდელი დანადგარის მშენებლობა. დარჩენილია მონტაჟი მოწყობილობისა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მიღებული ჩვენი ქვეყნის მექანიკური ქარხნებიდან.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მშენებლობა დიმინშენელოვანი ობიექტისა, რომელიც მარგანეცის მადნის საექსპლოატაციო დანაკარგების შემცირებას ისაა, ეფექტურ ფაბრიკის ფაბრიკის ახალმშენებლებს. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა შეეშნა მშენებლობის ხელშეწყობი საკუთარ აქ მოუშვა აქტივისტების მონაწილეობით, რომლებიც კონტროლს აწესებენ მომავალი ფაბრიკის სამშენებლო მასალებთან და ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკმეზე.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲧᲐᲡᲘᲐᲗᲘ

ᲙᲐᲠᲚ მარქსის ქალაშვილებმა ერთხელ მამას მიმართეს თხოვნით პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე. პირველ კითხვაზე: „ღირსება, რომელსაც თქვენ ყველაზე მეტად აფასებთ ადამიანებში? — მარქსმა ერთი სიტყვით გასცა პასუხი: „უბრალოება“.

ამ შესანიშნავი თვისებით უხვად იყვნენ დაჯილდოებულნი უწინარეს ყოვლისა თვით მარქსი და მისი განუყრელი მეგობარი ფრიდრიხ ენგელსი.

მუშათა მოძრაობის დიდებულ ისტორიას არ ახსოვს უფრო მაღალი, უფრო წმინდა, უფრო იდეური თანამეგობრობა, ვიდრე ეს ჰკონდა ამ ორ გენიალურ ადამიანს.

ერთ წერილში მარქსი ენგელსს სწერდა:

„მეუღლე ავადა მყავს, ქენი ავად არის... ექვში ვერ მოვიწვიე და ვერც მოვიწვევ. რადგან წამლების ფული არა მაქვს. 8-10 დღის განმავლობაში ჩემი ოჯახი ხმელა ტორითა და კარტოფილით იკვებებოდა, ხოლო დღეს ეიქვოს, შევძლებ კი თუნდაც ამის შეძენას... რამდენიმე შილინგსა და პენსს ზოგიერთ ჩემს თაყვანისმცემელს ვესესხე, რაც ყველაზე სამწუხაროა ჩემთვის. მაგრამ ეს აუცილებელი იყო, რომ შიმშილით სული არ ამოგვხდომოდა...

მეგონა, ძირამდე დავცალე სიმწრის ფიალა, მაგრამ ამასთან ყველაზე ცუდია ის, რომ ეს კრიზისი დროებითი არ არის. ვერ ეხედავ, როგორ დავაღწიო თავი ამ გაჭირვებას“.

ენგელსი მეგობარს დაუყოვნებლივ უგზავნის ფულსა და წერილით ატყობინებს, შეგიძლია იმედი იქონიო, რომ ყოველთვიურად ასეთ-თანხას მიიღებ, და მალე ყველაფერ ეკითხება, რა თანხა გჭირდება იმისათვის, რომ ყველა შენი ვალი გისტუმრო და ამგვარად თავი საკუთარ თავისუფლად იგრძნო.

მარქსი ყოველთვის ღრმა მადლიერების გრძნობით უპასუხებდა მას ძმურ დახმარებაზე. როცა ენგელსი ავად იყო, მარქსი მთელ ღამეებს უთენებდა, მძიმედ განიცდიდა მის ავადმყოფობას, ერთერთ თავის წერილში ის წერდა: ჩემი მწუხარება შენი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ისე ძლიერია, თითქოს თვითონ მე ვიყო ავად, შეიძლება უფრო ძლიერიც.

ფრიდრიხ ენგელსს არ უყვარდა, როცა „თქვენობით“ მიმართავდნენ ამხანაგები და მეგობრები. ერთ-ერთი მეგობრისადმი გაგზავნილ წერილში ის აღნიშნავს: ძვირფასო მეგობარო იგლესიას, შენი წერილი დროულად მივიღე და გწერ პასუხს გაფრთხილებით, რომ ეს წერილი იქნება უკანასკნელი, თუ ჯერ-ობამ განაგრძობ და კვლავაც „თქვენობით“ მომმართავ. 1894 წლის 21 მაისს კი გიორგი პლეხანოვს გაუგზავნა მოკლე ბარათი: „ძვირფასო პლეხანოვ, უწინარეს ყოვლისა გთხოვ თავი დაანებო ჩემთვის „მასწავლებლის“ წოდებას. მე მხოლოდ ენგელსი ვარ“.

ან ავიღოთ ასეთი მაგალითი: ფ. ენგელსს 70 წლის შესრულებასთან დაკავშირებით მოლოცვები რომ მისდიოდა, ის მეგობრებს სწერდა: „ბინდა რაც შეიძლება მალე დავაღწიო თავი ყოველივე ამას, სრულიადაც არა ვარ სადღესასწაულოდ განწყობილი. ესეც რომ არ იყოს, მე ხომ მეტწილად მხოლოდ მარქსის დიდებას მომაწერენ!

ჩემზე უკეთ არავინ იცის, რომ ამ დიდების მეტი ნაწილი პირადად მე არ დამიმსახურებია. როგორც ჩანს, ასეთია ჩემი ბედი. მე მიხდება ამ დიდებისა და პატივისცემის მიღება, რომელთა თესლიც დათესა ჩემზე უფრო დიდმა ადამიანმა — კარლ მარქსმა“.

ასე წერდა ენგელსი. ასე შეეძლო დაეწერა: მხოლოდ დიდ ადამიანს, ამასთან თრიად უბრალო, გულითად და თავმდაბალ ადამიანს.

ყველასთან, ყოველთვის, ყველაფერში ნამდვილი ადამიანი — ასეთი იყვნენ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი.

ადამიანურობის, უბრალოებისა და თავმდაბლობის საუკეთესო ნიმუში იყო ვ. ი. ლენინი. მისწერაფება — თვალში არ გაეჩხირის ყველას, არ გამეიდიდრდეს თავისი მაღალი მდგომარეობით, ბევრი იმუშაოს და დიდი საქმეები აკეთოს უბმოუროდ, ჩუმად. იყოს უბრალო და თავმდაბალი ყველასთან — ასეთი იყო ჩვენი პარტიის გენიალური ბელადის დამახასიათებელი ნიშანი, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარე.

1918 წელს მაქსიმ გორკემ სორმოვოს მუშას დიმიტრი პაველოვს ჰკითხა: „როგორია, შენი შეხედულებით, ლენინის ყველაზე მკვეთრად გამოსახული თვისება?“ მან უპასუხა: „უბრალოება; უბრალოა, როგორც სიმართლე“.

ხალხთან საუბარი ვლადიმერ ილიას-ძის ღრმა შინაგანი მოთხოვნილება იყო. ამიტომ რეგულარულად გამოდიოდა სიტყვებითა და მოხსენებებით, გულწრფელად ესაუბრებოდა ადამიანებს. მას სურდა საკუთარი ყურით მოესმინა უბრალო ადამიანების ნათქვამი, უკეთ გიგო, რით ცხოვრობენ და როგორ შრომობენ ისინი. ხალხისათვის სიმართლის თქმა, თუნდაც ის უაღრესად მწარე ყოფილიყო, კანონი იყო ლენინისათვის. ის არ ღუთქვამდა ოღონ გამარჯვებებს, არ ალამაზებდა სინამდვილეს, არამედ მტკიცედ და მკვეთრად აყენებდა საკითხებს, მოუწოდებდა სიძნელეების გადალახვისაკენ.

ᲐᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ მნიშვნელოვანია ხელმძღვანელის ტაქტი. ყოველ ხელმძღვანელს საქმე აქვს ადამიანებთან. რომ დარაზმი და შეამჭიდროო ისინი, აუცილებელია სათანადო თეორიული მომზადება, ცოდნა და გამოცდილება. მაგრამ ამას გარდა საჭიროა ტაქტი, იმის უნარი, რომ სწორი ურთიერთობა დაამყარო მუშაკებთან, რომლებისთვისაც სულ ერთი როდია ის, თუ როგორ ექცევიან, როგორ ელაპარაკებიან, პატივს სცემენ თუ უგულოდ ეპყრობიან.

უტაქტობა ხშირად გამოწვეულია იმით, რომ ხელმძღვანელი მუშაკი უყურადღებოდ ტოვებს „წვრილმანს“. ეს კი მას აცალკევებს ადამიანებისაგან. ხელმძღვანელი ხომ ყოველთვის ყველას თვალწინ არის. მისკენ ყოველი მხრიდან არის მიმართული მზერა, მასების თვალი, თვითეულ მის მოქმედებას ამჩნევენ და შეიძლება ითქვას ასე ფფსებენ. თითქოა „წვრილმანია“ — ხელმძღვანელმა გვერდით ჩაგიარა და არ მოგესალმა. მას ამით ექნება არავის წყენინება არ სურდა, — დავიწყდა, ან ჩალქრებული იყო. მაგრამ ირგვლივ მყოფი ადამიანები ამას სხვანაირად ხედებენ: გამდიდურდა, თავს აღარ გვიყადრებსო. ასეევ ხდება მაშინაც, როცა ხელმძღვანელი მასთან ერთ-ბინეტში შესულ ადამიანს დაჯდომას არ შესთავაზებს, ან, როცა მასთან შესულ ადამიანს ელაპარაკება, თვითონ კი თავი ქაღალდებში აქვს ჩარგული;

ავიღოთ თუნდაც ისეთი დეტალი, როგორიც არის საკუთარი პირსონალისათვის ხაზგასმა „მე“-ს განდიდება სიტყვითაც და საქციელითაც. „მე ასე მსურს“, „მე გითხარით“, „მე ულარეყოფ“, „მე წინაადმდეგი ვარ“, „მე არ გეთანხმებით“, „მე გიცხადებთ“, „ჩემს ოთახიკაში“, „ჩემს კოლმეურნეობაში“ და ასე დაუსრულებლივ.

თუ როგორ უნდა იმუშაო მასებთან, რიგითს მუშაკებთან, ამის ნიმუშია ღიდი ლენინის მოღვაწეობა. როცა კაბინეტში მუშა, გლეხი ან წითელარმიელი შეიოდა და ბეჯიდაობა, მოიცხეთა ბენნერ-ოდა, მაშინვე ვლადიმერ ილიას-ძე მაგიდას სცილდებოდა, მასთან შესახვედრად გაემართებოდა, თავისებური სწრაფი ლაპარაკით მიეწვეოდა: „ჩამოჯექით, ამხანაგო“ და თვითონაც ჯდებოდა, მაგრამ არა მაგიდასთან, არამედ საკარძელში. მოსულის პირდაპირ, აძლევდა კითხვებს, აკონტროლებდა პასუხებს, ცდილობდა ნათქვამის სიღრმეში ჩაწვდომას, აძლევდა რჩევა-დარიგებას. მომსვლელს, რომელიც ცოტა ხნის წინათ იბნეოდა, ახლა ეჩვენებოდა, რომ იგი უკვე დიდი ხანია იცნობს ამ თავმდაბალ, უბრალო ადამიანს, და მას უეცრად გული გიხსნებოდა, დიდ ადამიანს ყველაზე სანუკვარ საიდუმლოს ანდობდა.

ყველას, ვინც კი ლენინს ხედავდა, მოხიბლული რჩებოდა მისი იშვიათი თვისებით — ადამიანებისადმი უყურადღებით. იყო ასეთი შემთხვევა: ლენინს ეწვია გლეხი ჩეკუნოვი. საუბრის დროს სტუმარი წამდაუწუმ ისწორებდა სათვალეს, ზოგჯერ კი იხსნიდა და შეუზუხებელი თვალებით ანათვალიერებდა. ეს არ გამოპარა ლენინის გამჭრიახ თვალს. და აი ჯანდაცვის პირველმა სახალხო კომისარმა ნ. ა. სემაშკომ მისგან წერილი მიიღო:

„ჩემთან არის ამბ. ივანე ათანასეს-ძე ჩეკუნოვი, მეტად საინტერესო მშრომელი გლეხი, რომელიც თავისებურად ეწევა კომუნიზმის საფუძვლების პროპაგანდას. მან დაკარგა სათვალე, სრულიად უვარგისში 15.000 მანეთი გადაიხადა!.. ძალიან გთხოვთ დეხმარეთ და სთხოვეთ თქვენს მდივანს, რომ შემატყობინოს, მოხერხდა თუ არა“.

ამ პატარა წერილში ყველაფერი ლენინურია: ადამიანებისადმი უყურადღებაც, მიმართვის სტილიც: „...სთხოვეთ თქვენს მდივანს“ და შესრულების შემოწმებაც... „მოხერხდა თუ არა“.

ვ. ი. ლენინი ასწავლიდა კომუნისტებს თავმდაბლობას, ასწავლიდა პარტიისა და ხალხის ინტერესების წინა პლანზე დაყენებას. იგი ხომ თვითონ იყო თავმდაბლობის, პარტიისა და ხალხისადმი თავდადებული სამსახურის განსახიერება. აი ამის ერთი მკაფიო მაგალითიც.

1920 წლის აპრილში, რკპ (ბ) IX კონგრესის მუშაობის დროს დელეგატებმა შეიტანეს წინადადება ზეიმი მოეწყოთ ვ. ი. ლენინის პატივსაცემად მისი დაბადების 50 წლისთავის გამო. ამ წინადადებას მთელი კრილობა მქუხარე ტაშით შეეგება. მაგრამ აქ მყოფი ვლადიმერ ილიას-ძე ამ ამბავს უკმაყოფილოდ შეხვდა, ადგა და შეიტანა წინადადება: „ამხანაგებო, სჯობს ვიმღეროთ „ინტერნაციონალი“. კრილობამ ერთსულოვნად იმღერა „ინტერნაციონალი“, ხოლო შემდეგ მაინც შეუდგა მოხსენებების მოსმენას ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ვლადიმერ ილიას-ძე მაშინვე ადგა და წავიდა, მოიხედავად იმისა, რომ სთხოვდნენ დარჩენილიყო, და შეუდგა კრილობის პრეზიდიუმის განწყობილ „დაბომბვის“ თავისი კაბინეტიდან წერილებითა და ტელეფონით, მოითხოვდა მაღე დაემთავრებინათ გამოსვლები და ემსჯელათ პარტიისა და სახელმწიფოს საერბოროტო საკითხებზე.

1918 წლის მარტში ფულის გაუფასურების გამო ვლადიმერ ილიას-ძეს მასთან წინასწარ შეუთანხმებელად გაუდიდეს ხელფასი. ამის პასუხად მან სახალხო კომისართა საბჭოს სამეთა მმართველს ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს მისწერა:

„ვინაიდან თქვენ არ შეასრულეთ ჩემი დაკანონებული მოთხოვნა — გიჩვენებინათ ჩემთვის, თუ რა საფუძველზე გამიდიდეთ ჯამაგირი 1918 წ. 1 მარტიდან თვეში 500-დან 800 მანეთამდე, და ვინაიდან ეს გადიდება, რაც თქვენ თვითნებურად მოახდინეთ საბჭოს მდივან ნიკოლოზ პეტრეს-ძე გორბუნოვთან შეთანხმებით, აშკარად უკანონოა და სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წლის 23 ნოემბრის დეკრეტის (ლენინს მხედველობაში აქვს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება, რომელიც სახალხო კომისრების ჯამაგირს ზღვრულ ოდენობად აწესებდა თვეში 500 მანეთს და დამატებას 100 მანეთს ოჯახ

აფრიკა გმობს

პარიზი, 25 ნოემბერი. (საკადესი). აფრიკა გმობს ამერიკელ-ბელგიელ კოლონიზატორთა დანაშაულებრივ აქტს, რომელებმაც თავიანთი ჯარები გაგზავნეს კონგოში კონგოელი ხალხის განთავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ეთიოპიის პრემიერ-მინისტრმა აჯილოუ აბტევოლდმა გუშინ განაცხადა: „ბელგიელ პარაშუტისტთა გაგზავნა სტენლივილში ცალმხრივი აქტია, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს უაღრესად სერიოზული შედეგები". ეთიოპიის ინფორმაციის მინისტრმა გ. ტ. ჰავარიატმა თქვა, რომ ეს არის „აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის სულისკვეთების პირდაპირი დარღვევის აქტი". ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბელგიის მოქმედება, მან დაახასიათა როგორც ყველაზე მკაფიო გამოვლინება ნეოკოლონიალისტური სულისკვეთებისა".

შეწყდეს აგრესია

კაირო, 25 ნოემბერი (საკადესი). იემენის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბრალად დასდო ინგლისს აგრესიული მოქმედება იემენის სუვერენიტეტზე კუატების რაიონში. ამას იუწყება სანიდან მენის საგენტოს კორესპონდენტი. იემენის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება შეიცავს მოთხოვნას შეწყვიტონ პროვოკაცია ინგლისის შეიარაღებულმა ძალებმა.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ინგლისის ორი ავიაგამანადგურებელი „ჰაუკერ ჰანტერი" თავს დაესხა გიმაფის რაიონს. რაკეტებით დანგრეულია სოფელი სალაჰი.

იემენის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მსოფლიო საზოგადოებრიობას ალაგმის აგრესორები, მიაღწიოს იმას, რომ ინგლისელებმა შეწყვიტონ თავდასხმა იემენის ტერიტორიაზე, ხელი შეუშალოს ინგლისს ხელისუფლებ არღვევდნენ ჰუმანურობის პრინციპებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მუხლებს.

მდგომარეობა სტენლივილში

ლონდონი, 25 ნოემბერი. (საკადესი). კონგოს აჯანყებულთა საყრდენი სტენლივილი დაიკავეს ბელგიის პარაშუტისტებმა და თეთრკანიან დაქირავებულ ქვეყელთა რაზმებმა. ბელგიის პარაშუტისტთა დესანტმა (900 კაცი), რომელიც ჩაიყვანეს ამერიკის სატრანსპორტო თვითმფრინავებით სამხედრო ბაზა კამინიდან, გუშინ განთიადისას დაიკავა სტენლივილის აეროდრომი. ბელგიის რეგულარულმა ნაწილებმა კატეხეს აჯანყებულთა წინააღმდეგობა და გაეშურნენ ქალაქის ცენტრისაკენ. უცხოეთის საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, რომ სტენლივილის ცენტრალურ ნაწილს ამჟამად პატრულობენ ბელგიის პარაშუტისტთა რაზმები.

ამერიკისა და ბელგიის დესანტთან ერთად სტენლივილს შტურმისათვის გაგზავნეს ჩომბეს მთავრობის მიერ შექმნილი თეთრკანიან დაქირავებულთა რაზმები. "დაქირავებულებმა ხელთ იგდეს სამხედრო ბანაკი კატელი, და შუადღისას შეეერთდნენ ბელგიის პარაშუტისტთა ნაწილებს სტენლივილში.

ინტერვენციას ამართლებენ

ბრიუსელი, 24 ნოემბერი. (საკადესი). ბელგიის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა პოლ-ანრი სპაააკმა დღეს რადიოთი განცხადება გააკეთა, რომელშიც ცდილობდა გაამართლებინა შეიარაღებული იმპერიალისტური ინტერვენცია კონგოში. მან დაადასტურა, რომ „დღეს დილით, განთიადზე, ბელგიელი პარაშუტისტები, რომელებიც ამერიკული თვითმფრინავებით ჩაიყვანეს, გადმოხვეს სტენლივილში". ამასთან მინისტრმა აუხსნელად ჩათვალა ბაზი გაეხსნა, რომ საპარაშუტო დესანტის გადმოსხმა სტენლივილში მოხდა ჩომბეს „თანხმობით".

სუდანის პრესას მარდაქმნიან

ლონდონი, 24 ნოემბერი. (საკადესი). სუდანის ახალმა მთავრობამ, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ჰათემ ალ-ხალიფა მეთაურობს, გადაწყვიტა შექმნას სპეციალური კომიტეტი, რომელშიც შეავა ხუთი მინისტრი. კომიტეტის ამოცანაა გარდაქმნას სუდანის პრესა. ამას იუწყება ხარტუმიდან რეუტერის საგენტოს კორესპონდენტი. ასეთი გადაწყვეტილება მთავრობამ მიიღო მას შემდეგ, რაც სუდანის პრესაში გაჩნდა მთელი სერია ცნობებისა, „რომლებმაც გარკვეული ზიანი მიაყენეს სუდანის საგარეო პოლიტიკას".

მოლაპარაკება ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 25 ნოემბერი. (საკადესი). ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰეზლაკმა გუშინ აქ დაიწყო ორი დღის მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებთან. მან და სახელმწიფო მდივანმა შორეული აღმოსავლეთის საქმეებში უილიამ ბანდიმ განიხილეს სამხრეთ ვიეტნამსა და მალაიზიაში შექმნილი მდგომარეობა.

კანონპროექტი მიღებულია

ლონდონი, 25 ნოემბერი. (საკადესი). ინგლისის თემთა პალატამ გუშინ მიიღო მთავრობის საფინანსო კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს 15 პროცენტით გადიდდეს სიმამორტო ბაჟი, გადიდდეს საშემოსავლო გადასახადი და ბენზინის ფასი, აგრეთვე მთელ რიგ ღონისძიებებს სოციალური უზრუნველყოფის დარგში.

ტეილორი იმუქრება

ვაშინგტონი, 24 ნოემბერი (საკადესი). საკადესის კორესპონდენტები ვ. ვამედჩენკო და ვ. პეტრუსენკო გვატყობინებენ:

ამერიკის პრესა სულ უფრო დაეჭვებით წერს, რომ უახლოეს ხანს, საშობაო არდადეგებამდე მაინც, პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი მიიღებს „დიდ გადაწყვეტილებას", თუ როგორ უნდა მოიქცეს ამერიკის შეერთებული შტატები ომში, რომელიც სამხრეთ ვიეტნამში მიმდინარეობს. 26 ნოემბერს ვაშინგტონში ჩამოდის ამერიკის ელჩი სამხრეთ ვიეტნამში გენერალი მაქსუელ ტეილორი, რომელსაც, როგორც ვარაუდობენ, თან მოაქვს რეკომენდაციები სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ.

თუ რა ხასიათისაა ეს რეკომენდაციები, რამდენადმე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ ინტერვიუს მიხედვით, რომელიც გენერალმა და მისმა უახლოესმა პოლიტიკურმა და სამხედრო თანაშემწეებმა მისცეს საგარეო ამერიკის ცნობილ ჟურნალს „ლაიფს". ამ ინტერვიუში ტეილორი შეეხო ომის გაფართოებისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე „მთავარი სამიზნეების" დაბომბვის შესაძლებლობას და განაცხადა, რომ „ასეთი შესაძლებლობანი არის...". გენერალი-ელჩი ემუქრება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას დაბომბვით და ამტკიცებს, თითქოს მისი ტერიტორიიდან სამხრეთში გადმოდიან დამბიანები და გადმოაქვთ იარაღი. მან გაკვრით ისიც თქვა, რომ ამერიკის ავიაციამ შესაძლოა ლაოსიც დაბომბოს.

სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა პირებმა გუშინ განაცხადეს, რომ წაიკითხეს ინტერვიუს სრული ტექსტი ჟურნალ „ლაიფში" გამოქვეყნებამდე და ისინი საკმაებით ეთანხმებიან მას.

ამერიკის პრესაში გუშინ გაიელვა ცნობამ, რომ გენერალ ტეილორს განზრახული აქვს გადაჭრით მოითხოვოს საკუთარი რეკომენდაციების შესრულება და თუ მთავრობა ამ რეკომენდაციებს ერ მიიღებს, გენერალი ელჩის პოსტიდან გადადგომას აპირებს.

ამასთან დაკავშირებით ამერიკის პრესა აღნიშნავს, რომ პრეზიდენტ ჯონსონის პოზიცია სამხრეთ ვიეტნამის საზღვრებს გარეთ სამარი მოქმედების გაკვრცელების თაობაზე ჯერჯერობით უცნობია და ეს ცნობა იმად მიაჩნია, რომ თავისებური ზეგავლენა მოახდინონ თეთრ სახლზე.

ის, რომ ამ ზეგავლენის სათავე პენტაგონსა და სახელმწიფო დეპარტამენტშია, ჩანს სენატორ უ. მორზეს გუშინდელი განცხადებიდან, რომელიც პრესისათვის გაკეთა. მან თქვა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი და პენტაგონი ნიადგს სინჯავენ სამხრეთ ვიეტნამიდან ჩრდილოეთ ვიეტნამისა და ლაოსის ტერიტორიაზე ომის გასავრცელებლად. ასეთი რეკომენდაციები, ხაზი გაუსვა სენატორმა, „საერთაშორისო უკანონობაა".



საუბარი ვაშინგტონში

— სახელოზე დანაკერები აქ მივიღე, სახეზე ნაკერები კი — სამხრეთ ვიეტნამში.

ნახატი ბულგარულ ჟურნალ „სტრშელიდან" (ონავარი).

სამხრეთვიეტნამელი აჯანყებულები საგრძნობ დარტყმებს აყენებენ დიქტატორ ენგონ ჯარებს.

მოკლული და დაჭრილია ბევრი „სამხედრო მრჩეველი" ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

(გაზეთებიდან).

ბრძოლაშიც ერთად, ზრდაშიც ერთად

ბადამინ ლხამსურენი.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კოლეგიუმის წევრობის კანდიდატი, მსრე ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

26 ნოემბერს ჩვენი ხალხი აღნიშნავს თავისი ისტორიის ღირსშესანიშნავ თარიღს — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მეორმოცე წლისთავს. სახალხო რესპუბლიკის შექმნა — ეს იყო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა 1921 წლის სახალხო რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა თვალსაჩინო რევოლუციური მიღწევა. ეს გამარჯვება საკუთარი ფეოდალებისა და უცხოელი დამმონებლების წინააღმდეგ მეუპოვარი ბრძოლით არის მოპოვებული.

ჩვენმა ხალხმა დიადი გარდაქმნების განხორციელება შეძლო იმის მეოხებით, რომ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურმა პარტიამ თავისი შექმნის მომენტიდან ქვეყნის განთავისუფლების საქმე რუსი ხალხის ძლევამოსილ რევოლუციურ ბრძოლას დაუკავშირა. 1921 წლის რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში მონღოლმა ხალხმა მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა საბჭოთა რუსეთის მხრივ, რომელმაც წითელი არმიის ნაწილები გამოუგზავნა და დაეხმარა მას განთავისუფლებულიყო თეთრგვარდიელ ინტერვენტთა უღლისაგან. ჩვენი ხალხების საბრძოლო კავშირისა და მეგობრობის შთაგონებული შეჩერებული მსოფლიო პროლეტარიატის დიდი მასწავლებელი ვ. ი. ლენინი და მონღოლეთის რევოლუციის ბელადი სუხებატორი. ჩვენი ხალხების საბრძოლო კავშირი და მეგობრობა განმტკიცებულია საერთო შტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ცეცხლში.

საბჭოთა ხალხთან მონღოლი ხალხის ძმური მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა, საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარება ძირითადი გარანტია იყო სახალხო მონღოლეთის განუხრელი წინსვლისა არაკაპიტალისტური განვითარების გზით. ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე ვ. ი. ლენინი, ხაზგასმით აღნიშნავდა მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის მხრივ ისეთი ჩამორჩენილი ხალხებისათვის დახმარების გაწევის საჭიროებას, როგორიც იყვნენ მონღოლები, სპარსელები, ინდოელები, ეგვიპტელები, წეოდა: „ჩვენ ვეცდებით „უანგარო კულტურული დახმარება" გაეუწიოთ ჩვენზე უფრო ჩამორჩენილ და ჩაგრულ ამ ხალხებს...", ვ. ი. დავეხმაროთ მათ გადავიდნენ მანქანების ხმარებაზე, შრომის შემსუბუქებაზე, დემოკრატიაზე, სოციალიზმზე.

მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარების მთელი მსვლელობა მკაფიოდ და დამაჯერებლად მოწმობს იმას, რომ საბჭოთა ხალხი, მისი დიადი პარტია კომუნისტებისა და საბჭოთა მთავრობა, წმიდად იცავენ ლენინის ანდერძს, იჩენდნენ და იჩენენ ჩვენი ხალხის მიმართ მხურვალე სიყვარულს, გულისხმიერი მხრუნველობისა და გულწრფელი მეგობრობის გრძნობებს, მუდამ გვიწევდნენ მრავალგვარ ინტერნაციონალურ დახმარებას და მხრივ ინტერნაციონალურ დახმარებას და მხარს გვიჭერდნენ ყველაფერში ჩვენი დამოუკიდებელი არსებობის ყველა პერიოდში.

საბჭოთა კავშირმა გადამწყვეტი როლი შეასრულა გარეშე საფრთხისაგან მონღოლი ხალხის მონაპოვართა დაცვის საქმეში.

ჩვენი ხალხების ძმური მეგობრობის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ფურცელია მონღოლეთისა და საბჭოთა კავშირის ჯარების სახელოვანი გამარჯვება იაპონელ აგრესორებზე ხალხინ-გოლის რაიონში, რომლის 25 წლისთავი ჩვენ ერთიან ოჯახში კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრობა, გააფართოებს და გაღრმავებს ერთმანეთთან თანამშრომლობა. ჩვენმა ხალხმა, რომელიც მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით ახორციელებს სოციალისტურ მშენებლობას თავის ქვეყანაში, უზრუნველყო სახალხო მეურნეობის სწრაფი ზრდა, მოახდინა დიდი სოციალისტური გარდაქმნები სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან და უწინარეს ყოვლისა დიდ საბჭოთა კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობის მეოხებით.

საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც წინათ, უდიდეს დახმარებას გვიწევდა და გვიწევს სახალხო მეურნეობის გადამწყვეტ დარგებში. სსრ კავშირის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური დახმარებით ჩვენში სწრაფად განვითარდა სამამულო მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის სამთამადნო, ნავთობგადამამუშავებელი, სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობა; მნიშვნელოვნად გაფართოდა ტრანსპორტისა და კავშირგამშულობის თანამედროვე სახეობანი; წარმატებით ვითარდება სოფლის მეურნეობის ახალი დარგი — მიწათმოქმედება. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა მესამე ხუთწლიანი გეგმის პერიოდში (1961-1965 წლები) სსრ კავშირის ფინანსურ-ტექნიკური დახმარებით ჩვენში შენდება მრეწველობისა და შენებლობის ოცდაათზე მეტი ობიექტი, მათგან თითქმის ნახევარი უკვე მწყობრში ჩადგა.

სსრ კავშირისაგან მნიშვნელოვან დახმარებას ვიღებთ მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობის ფარგლებში. მარტო უკანასკნელ სამწელიწადნახევარში საბჭოთა კავშირმა ჩვენს ქვეყანას გადმოსცა ხუთასამდე კომპლექტი ტექნიკური დოკუმენტაცია. ამ წლების მანძილზე ხუთი ათასზე მეტი საბჭოთა სპეციალისტი — ინჟინერი, ტექნიკოსი, მეცნიერი და კულტურის მოღვაწე — მუშაობდა ჩვენს ქვეყანაში, დახმარებას გვიწევდა სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში და გადასცემდა ჩვენს ადამიანებს თავის მდიდარ გამოცდილებასა და ცოდნას. საბჭოთა კავშირი დიდ დახმარებას გვიწევს ჩვენი სპეციალისტების მომზადებაში. უკანასკნელ ოთხ წელიწადში ათასამდე მონღოლმა ინჟინერმა და სხვა სპეციალისტმა მიიღო განათლება საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში.

ორი ქვეყნის ეკონომიური თანამშრომლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა მათ შორის ვაჭრობა, რომელიც სულ უფრო ფართოვდება. იგი ხასიათდება ორ ქვეყანას შორის როგორც საქონელბრუნვის საერთო მოცულობის განუხრელი ზრდით, ისე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკისთვის საარსებოდ მნიშვნელოვანი საბჭოთა მანქანებისა და მოწყობილობის იმპორტის გადიდებით. უკანასკნელ 16 წელიწადში ჩვენს ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის საერთო მოცულობა ერთიორად და მეტად გაიზარდა.

წლითიწლობით ფართოვდება ნაყოფიერი კულტურული კავშირი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ძალიან მაღალ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კულტურისადმი, რუსული და საბჭოთა ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოებებისადმი. ჩვენ გვახარებს ის, რომ საბჭოთა კავშირშიც დიდი ინტერესით ეკიდებიან მონღოლი ხალხის კულტურას.

მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის გაღრმავებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მჭიდრო ურთიერთობა და თანამშრომლობა, რაც ხორციელდება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მათ შორის აგრეთვე მეგობრობის საზოგადოებათა ხაზით.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელნი საბჭოთა ხალხში ხედავენ ყველაზე დიდ მეგობარსა და ძმას, გამსჭვალული არიან მისადმი გულწრფელი მადლიერებისა და ეროვნულების გრძნობებით. საბჭოთა კავშირთან მეგობრობა მათ მიაჩნიათ თავიანთ დიდ მონაპოვრად და თავისუფლებისა და ბედნიერების საიმედო გარანტიად. აი რატომ არის, რომ ჩვენი ხალხი თვალსაჩინივით უფრთხილდება თავის მეგობრობას საბჭოთა ხალხთან, წმიდად იცავს მას ყოველგვარი თავდასხმისაგან და ცდილობს კიდევ უფრო გააღრმავოს იგი.

„საბჭოთა ხალხი და მონღოლი ხალხი, — ამბობდა ამხანაგი ი. ცედენბალი, — ისეთი ძმები არიან, რომლებიც ერთად იყოფენ ჭირსაც და ლხინსაც, რომლებიც უყოყმანოდ ებმებიან და თუ საჭიროა იქნება, გვლავაც ჩაებმებიან ბრძოლაში თავიანთ რევოლუციურ მონაპოვართა დასაცავად. ბრძოლაშიც და შრომაშიც ჩვენ საბჭოთა ხალხთან ერთად ვართ".

მონღოლი ხალხი, რომელიც თანმიმდევრულად იბრძვის სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, მხურვალედ მიესალმება დ. მხარს უჭერს საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის დიდ ღონისძიებებს მშვიდობის საქმის დაცვაში, მათს მტკიცე ბრძოლას მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების სიწმინდისათვის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისათვის. ჩვენი ხალხი აღტაცებული და აღფრთოვანებულია საბჭოთა ადამიანების უმაღლეთო საგმირო საქმეებით, რომლებსაც ისინი მშვიდობისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ასრულებენ, და უსურვებს მათ ახალ წარმატებებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში.

სურათზე: მშვიდობის პროსპექტი ულან-ბატორში.

ფოტო ი. ტრუშინისა.

(საკადესის ფოტოკორესპ.).

მსოფლიო ამ დღეებში

უახლოეს აღმოსავლეთის ახალი დოკუმენტი

24 ნოემბერს ქალაქ სანტიაგოში ჩილის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაბრიელ ვალდესმა და სსრ კავშირის ელჩმა არგენტინაში ნ. ბ. ალექსეევმა მთავრობათა დავალებით ხელი მოაწერეს შემდეგ კომუნიკეს საბჭოთა კავშირისა და ჩილის რესპუბლიკის დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

„ჩილის რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობები, დარწმუნებულნი, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობა მით უფრო განმტკიცდება, რაც უფრო მეტი ურთიერთგაგება იქნება მიღწეული ხალხებს შორის; რომ სისტემების ან მართვა-გამგეობის ფორმების განსხვავება არ უშლის ხელს იმას, რომ ქვეყნებს შორის არსებობდეს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა, შეთანხმდნენ აღადგინონ დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობა, დაწყებული 1964 წლის 24 ნოემბრიდან.

წარმომადგენლობანი დაწესდება საელჩოების დონეზე, ხოლო მათ შექმნასთან დაკავშირებული დიტალები ორივე მთავრობის შემდგომი შეთანხმების საგანი იქნება.

ეს კომუნიკე ერთსა და იმავე დროს გამოქვეყნდება სანტიაგოსა და მოსკოვში".

• • •

ჩილი სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოა. მოსახლეობა 8 მილიონ კაცს აღემატება. დედაქალაქია სანტიაგო.

საკანონმდებლო ხელისუფლებს ამ ქვეყანაში ახორციელებს ეროვნული კონგრესი, რომელიც დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან შედგება, აღმასრულებელ ხელისუფლებას — რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ჩილეში არის თამამდე სხვადასხვა პოლიტიკური პარტია. მშრომელნი გაერთიანებული არიან პროფკავშირებში, რომელთაგან ყველაზე დიდია ერთიანი პროფკავშირული ცენტრი.

ჩილი მდიდარი და თვითმყოფადი კულტურის ქვეყანაა, რომლის ბევრმა მოღვაწემ მსოფლიო სახელი მოიხვეჭა. თანამედროვე ჩილიური ლიტერატურისა და კულტურის გამორჩეულ წარმომადგენლებს პაბლო ნერუდასა და ოლგა პობლეტე დე ესპინოზას მინიჭებული აქვთ საერთაშორისო ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის".

ხალხის ეროვნულ-განთავისუფლებელი ბრძოლის შედეგად ჩილი 1818 წელს დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა.

ამ უკანასკნელ ხანს ჩილის რესპუბლიკაში გაძლიერდა მოძრაობა სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის აღდგენისათვის. საბჭოთა კავშირსა და ჩილის შორის რამდენადმე დაყარა ეკონომიური, კულტურული და საპარლამენტო ურთიერთობა. 1963 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვეული საბჭოთა კავშირის ესტუმრა სენატორი ედუარდო ფრეი მონტალვა, ჩილის ახლანდელი პრეზიდენტი.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც უაღრესად გულწრფელი სიმპათიით ეკიდებიან ჩილის შრომისმოყვარე და ნიჭიერ ხალხს, კმაყოფილებით შეხვდებიან ცნობას სსრ კავშირსა და ჩილის შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

ბოლო ცნობები

△ **განსვენებული** პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუს და ვიჯაია ლაქშმი პანდიტი აირჩიეს ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატის დეპუტატად. ქალბატონი პანდიტი არის ინდოეთის ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VIII სესიის ყოფილი თავმჯდომარე.

△ **ნორვეგიის** თავდაცვის მინისტრი გუდმუნდ ჰარლემი ლონდონს გაემგზავრა, ხოლო შემდეგ წავა ვაშინგტონში, რათა მოლაპარაკება აწარმოოს ნორვეგიის მანევრებში იმგლისისა და ამერიკის ნაწილების უფრო ფართო მონაწილეობის საკითხზე". ვაშინგტონში ყოფნის დრს გ. ჰარლემი განიხილავს აგრეთვე საკითხებს, რომ შეიძინონ სამხედრო აღჭურვილობა ნორვეგიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე შექმნილი ამერიკის სამხედრო დახმარების პროგრამის მიხედვით.

△ **კოლუმბიის** სხვადასხვა რაიონში ათასობით კოლუმბიელი აწერს ხელს მოთხოვნას, რომ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ სპპატიმროს ჯურლმულებიდან კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მიგელ რუედი, ცნობილი სიმღერის „კუბა-მო, იანკი-არას" ავტორი ალეჰანდრო გომესა და სხვა პატრიოტები.

ამერიკა, როგორიც არის იგი

შეერთებულ შტატებში რომ იცხოვრო, საჭიროა ბევრი ფული: აქ ცხოვრება ძვირია. ნიუ-იორკში მეგობრებმა მიგვიღეს სამოთახიან ბინაში, რომელშიც თვეში 115 დოლარს იხდიან. პატარა ფუნთუშა 12,5 ცენტი ღირს. თქვენ კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობთ? პოეტი კურსის სტუდენტი კვირაში 45 დოლარს იხდის, რომ სამსაათიანი ლექცია მოისმინოს, ხოლო მეორე კურსის სტუდენტი — 50 დოლარს.

ბოსტონში დავიქირავე ოთახი საშუალო ხარისხის სასტუმროში. ფასი? 14 დოლარი დღეღამეში.

სართულის მორიგეს ვეთხარი, რომელმაც გასაღები გამომიწოდა:

— ამერიკაში ცხოვრება ძალიან ძვირია ფრანგისათვის.

— იგი ძვირია ჩვენთვისაც, — მიპასუხა მან, — და დასძინა:

ცხოვრებას თავი რომ გაეართვა, ეკვე ორი წელიწადია იძულებული ვარ გორდა ამისა კიდევ ორი „პატარა სამუშაო" მქონდეს. დღეში თექვსმეტ საათს ვმორმობ. დავიქანცე... და მარტო მე როდი ვარ ასეთი.

მეკრა მისი. ასანთის კოლოფზე ვკითხულობ: „თუ გსურთ შეატყოთ ფულს ხელ-შოვნის 200 წესი, გარდა თქვენი სამუშაო საათებისა, მოგვწერეთ..."

ბინის ქირა, კვება — ეს ოჯახის მეთაურის ჯერ კიდევ ყველაზე დიდი ხარჯები როდია. მისი შემოსავლის მეოთხედს გადასახადები ნთქამენ. მაგრამ ამ უდიდეს ტვირთს რომ მოიშორებს, ამით მისი გასაჭირი როდი მთავრდება. ტექნიკა ჯაბნის ადამიანს. ამერიკელი გაჯირებით ეწინააღმდეგება გენიალურ რეკლამას, რომელიც ყოველ ნაბიჯზე სდევს მას და აიძულებს ძვირი საგნები იყიდოს. მას ნისიას სთავაზობენ. ყველაფერის ყიდვა შეიძლება ნისიად. ვაჭარი ნისიად რომ ჰყიდის, არავითარ რისკს არ ეწევა. იგი კლიენტისაგან მოითხოვს შრავალ გარანტიას: სიცოცხლის დაზღვევას, უბედური შემთხვევისაგან, ავადმყოფობისაგან დაზღვევას... ერთი სიტყვით, საჭიროა დიდი ხარჯების გაღება, გარდა საკალდებული შესატანისა უმუშევრობის შემთხვევისათვის და ა. შ.

— რა იქნება, — ვკითხე 'მე, — თუ ადამიანი ვერ შეძლებს გადიხადოს ყველა მუხლის მიხედვით.

— მაშინ მომართავენ მევახშეს (და მართლაც, გაგვიოცა გამსესხებელი სალარორების სიმრავლემ თითქმის ყველგან ამერიკის შეერთებულ შტატებში), ან ბანკს, რომელიც გრძელვადიან კრედიტს იძლევა...

...და, რასაკვირველია, ადამიანს ახალი ვალდებულებანი ეკისრება. ჰეშმარიტად ეს ჯოჯოხეთური წრეა. ადამიანმა რა ფასადაც ქნება რაც შეიძლება მეტი სარგებლობა უნდა მოიუტანოს კაპიტალისტურ სახელმწიფოს არა მარტო როგორც დოვლათის მწარმოებელმა, არამედ არაანაკლებ როგორც მრმბმარებელმაც. იგი ნივთად იქცევა და თავის თავს აძლევს გრეოდ. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ამერიკელი ბალისით თანხმდება ყოველგვარ დაზღვევაზე. მისთვის ეს საშეკერგოლია, რამდენადაც შეერთებულ შტატებში არავითარი სოციალური უზრუნველყოფა არ არსებობს.

— ხვალ თქვენ გამგზავრებას აპირებთ, — მეუბნება ერთ-ერთი ჩემი მეგობარი, — თქვენი თავის დაზღვევაზე იფიქრეთ?

— არა.

— არ დაზღვეულხართ? რა უგუნურებაა! რა უნდა ქნათ, რამე რომ დაგემართოთ, ავადა რომ გახდეთ?

მე არ ვმალავ ჩემს გაოცებას მისი შეშფოთების გამო. იგი განაგრძობს:

— იცით თუ არა, რომ საავადმყოფოში ადამიანს არავითარ დახმარებას არ აღმოუჩენენ, სანამ მისი მახლობლები წინასწარ არ შეიტანენ ფულს? იცით, რომ საავადმყოფოში გადასახდელი ძალიან დიდია? ამას წინათ ორ დღეს ვიწექი საავადმყოფოში. 60 დოლარი გადავიხადე, გარდა იმისა, რაც ექიმებსა და მომვლელებს მივეცი.

ამერიკელი ყოველნაირად ცდილობს, რომ უბედურებამ ერთბაშად არ მოუსწროს, რამდენადაც მისი პროფესიული ღირებულება მუდამ გაურკვეველია. ყოველ ორ წელიწადში მის კვალიფიკაციას გადასინჯავენ ხოლმე შრომის ნაყოფიერების თვალსაზრისით. კაცი შეიძლება დაითხოვონ, დაბალ თანამდებობაზე ჩამოაყენონ მეპატრონეთა თვითნებობით. მას არავითარი კანონი არ იცავს. მოპობილი უფლების ცნება გაუგებარია საწარმოს მფლობელისათვის. ახლა ჩემთვის გასაგებია ამერიკის ერთი კომპანიის პარიზის ფილიალის დირექტორის აღფოთება, როცა მას აუხსნეს, რომ მისი მოსამსახურენი საკონფლიქტო სასამართლოში გაიწვევენ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფინებით მოითხოვს მოსამსახურის დათხოვნას ან სხვა ადგილზე გადაყვანას თავისი ფანტაზიისა და ინტერესების მიხედვით.

ამერიკელი მუდამ ისეთ ვითარებაში იცხოვრობს, რომ დარწმუნებული არ არის თავისი მდგომარეობის სიმტკიცეში, და გასაგებია, რატომ ასე ხშირად მიმართავს დამამშვიდებელ აბებს. მშრომელი ქალის მდგომარეობა უკეთესი როდია, მაგრამ საშუალო შეძლების გათხოვილი ამერიკელი ქალი ეშვიათად მუშაობს. ეს იმ კომპანიის შედეგია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე გააჩაღეს საქმიანმა წრეებმა და რომელიც ქალის ფსიქოლოგიის საუკეთესო სპეციალისტებმა მოაწყეს. ქალს შთაგონებდნენ, რომ საწარმოო და იდეალურ-ტექნიკური საქმიანობა საშინლად ენებს მის ქალურ სინაზეს, და ეს სინაზე რომ შეინარჩუნოს, საჭიროა მხოლოდ ოჯახში ტრიალებდეს. ზრავალმა გამოკვლევამ და 300 ათასმა ინტერვიუმ ცხადყო, რომ ქალი, თუ არ მუშაობს, უკეთესი მყიდველია. ასეთ ქალს მეტი დრო აქვს იმისათვის, რომ მაღაზიაში შეიაროს, მეტი ინტერესს იჩენს საოჯახო აპარატებისადმი, ახალი ნაკეთობებისადმი. კარგად ცნობილი მითი „ოჯახურ კერასთან მყოფი ქალის შესახებ" ახალი რაკურსებით აჩვენეს მეწარმეთა ინტერესების სასარგებლოდ. ბევრი ქალი ა



სტუმრები შვეიცარიიდან

28 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა შვეიცარიელ ჟურნალისტთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მოწვევით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: „გაზეთ „ფოლსშტიმეს“ მთავარი რედაქტორი, შვეიცარიის რედაქტორთა სოციალ-დემოკრატიული კავშირის (ქ. სანტე-კოლერი) თავმჯდომარე ჰანიც როშევსკი (დელეგაციის მეთაური), „გაზეთ „არბაიტერ ციტუნგის“ (ქ. შაფჰაუზენი) მთავარი რედაქტორი პაულ ჰარნბში, „გაზეთ „ტურგაუერ არბაიტერ-ციტუნგის“ (ქ. არბოუ) თანამშრომელი გერდა როდელი, „გაზეთ „დას ფოლკის“ (ქ. ოლტენი) მთავარი რედაქტორი ვალტერ კროიხი, „გაზეთ „ფოლკსრეხტბის“ (ქ. ციურიხი) მთავარი რედაქტორი ოტო ჰორლიმანი, „გაზეთ „ლიბერა ტაგ�ას“ (ქ. ლუგანო) მთავარი რედაქტორი ნამდვილი ბალინარი, ყოველკვირეულ ჟურნალ „ველტვოხეს“ (ქ. ციურიხი) რედაქტორი ალფონს მატი.

ჩამოსვლის დღეს დელეგაცია გაეცნო თბილისის ღირსშესანიშნაობებს და საუბარი ჰქონდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრებთან.

24 ნოემბერს დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ. მან დელეგაციის წევრებს უამბო რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების შესახებ, გააცნო მათ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა.

იმავე დღეს დელეგაცია ეწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. აქ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა გ. ნ. ჯიბლაძემ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ე. კ. ხარაძემ დელეგაციის წევრებს გააცნეს, თუ როგორ არის დაყენებული და როგორ ვითარდება რესპუბლიკაში უმაღლესი განათლება.

შემდეგ სტუმრები იყვნენ თბილისის ღვინის პირველ ქარხანაში.

29 ნოემბერს დელეგაცია თელავის რაიონში გაემგზავრა.

• • •

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ვალტერ კროიხი, ალფონს მატი, ახალი ამბების საგენტოს თანამშრომელი ლეგან კაცოშვილი, პაულ ჰარნბში, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საერთაშორისო განყოფილების რეფერენტი ირინე ჟუკოვა, გერდა როდელი, ჰანიც როშევსკი, ოტო ჰორლიმანი, სილვანო ბალინარი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მკითხველთა კალმით

□ **სოფელ** ბიჩინგა-ურთკარში (დუშეთის რაიონი) ყინვალის სამაესი არაგველის სახელობის კოლმეურნეობამ და სასოფლო საბჭომ ააგეს სკოლის ახალი შენობა. ამას წიმაათ მოეწყო სკოლის საზეიმო გახსნა.

ვ. ხუციურაული.

□ **ამ დღეებში** გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიისა და დაწყებითი განათლების ფაკულტეტის დაკანტებმა გორის რაიონის სოფელ ბინდისის საშუალო სკოლის მაწყველებლებსა და მოსწავლეთა მშობლებისათვის მოაწყეს გამსვლელი სამეცნიერო სესია.

შ. ბოგინაშვილი.

□ **გურჯაანის** რაიკოოპკავშირმა ააშენა და ამ დღეებში ქალაქ გურჯაანში საეკსპლოატაციოდ გადასცა ხილ-ბოსტნეულის ახალი მაღაზია. ახალი უნივერსალური მაღაზია მიიღეს აგრეთვე სოფელ ჯიმითის მცხოვრებლებმა.

ს. შაქარაშვილი.

□ **ზუგდიდის** „ენგურჰესის“ მუშაკთა მომარაგების გაყოფილებამ რუსთაველის ქუჩაზე გახსნა ახალი კეთილმოწყობილი სასტუმრო მაღაზია.

გ. ალუიგაია.

საქართველოს ალკა მცხეთის საწარმოო კომბინატის, მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების და მცხეთის კულტურის სახლის ინიციატივით ამ დღეებში გაიმართა მკითხველთა კონფერენცია თემაზე „საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირი“.

შ. ხეთაგური.

მზის ქარი

მოსკოვი. მიღებულია ახალი მონაცემები კოსმოსის ექსპერიმენტული ზონდირების შედეგების შესახებ, რასაც მთელი რიგი ქვეყნების მეცნიერები აწარმოებენ. იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენრება დედამიწის გარემომცველი ატმოსფეროს ზემო სივრცე, ფიზიკოსთა სამეცნიერო სესიაზე ილაპარაკა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა კ. ი. გრინგაუზმა.

რაკეტებისა და თანამგზავრების მეშვეობით კვლევამ, თქვა მეცნიერმა, არსებითად შეცვალა ჩვენი წარმოდგენები იონოსფეროს შესახებ, პლანეტათშორისი სივრცის ფიზიკის შესახებ. მაგალითად, დადგენილია, რომ დედამიწის იონოსფეროს ზედა ზღვარი 10 ჯერ უფრო მაღლა მდებარეობს, ვიდრე აქამდე ვარაუდობდნენ. ეს ზღვარი როგორც რაკეტით გაზომვები გვიჩვენებენ, მდებარეობას დაახლოებით 15-20 ათას კილომეტრზე.

საინტერესოა დამუხტული ნაწილაკების კონცენტრაციის იმ გაზომვების შედეგები, რომლებიც 1961 წელს მოეწყო ვენერის მიმართულებით გაშვებულ საბჭოთა საალანეტათშორისო სადგურზე, და ამერიკის თანამგზავრზე „ექსპლორერ-10“, 1962 წელს — ამერიკის სადგურზე „მარინერ-2“ და საბჭოთა სადგურზე „მარსი-1“, აგრეთვე 1963-1964 წლებში თანამგზავრზე „იმპ-1“ (ამერიკის შეერთებული შტატები) და „ელექტრონ-2“ (სსრ კავშირი). მზის პლაზმის ნაკადების დამუხტული ნაწილაკების კონცენტრაცია პლანეტათშორის სივრცეში შეადგენს სულ რამდენიმე ნაწილაკს კუბიკურ სანტიმეტრში. და მხოლოდ მაგნიტური ქარიშხლების დროს იონიზებული გაზის კონცენტრაცია 20-25 ნაწილაკამდე აღწევს კუბურ სანტიმეტრში.

მზის ობიდიოლოგიური კვლევის მეშვეობით და რაკეტებით გაზომვით დადგენილია, რომ მზის პლაზმის ნაკადები მზის გვირგვინის გაფართოების შედეგია. ეს იმგვარად ხდება, რომ მზის მახლობლად ნაკადების სიჩქარე მცირეა, დედამიწის ორბიტის რაიონში კი ეს სიჩქარე ბევრის სიჩქარეზე მეტია (წამში დაახლოებით 400 კილომეტრი და მეტი). ეს ექსპერიმენტული ფაქტები კარგად ეთანხმება „მზის ქარის“ ფენომენულ მოდელს, რომელიც ამერიკელმა ფიზიკოსმა იუჯინ პარკერმა წამოაყენა.

საეკსპერიმენტო მასალების ანალიზი, კ. ი. გრინგაუზის აზრით, გვიჩვენებს, რომ დედამიწის მაგნიტური ველის ვარიაციები კარგად ეთანხმება მზის პლაზმის ნაკადების რხევას. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ჩვენი პლანეტის მიზიდულობის არეში არსებული პლაზმა, როგორც ჩანს, დედამიწური წარმოშობისაა, ამასთან იონოსფეროს ზედა ნაწილი, რომელიც წყალბადის იონებისაგან — პროტონებისაგან შედგება, ძირითადად ოკეანეთა აორთქლების ხარჯზე „იკვებება“. პლანეტათშორისი პლაზმა კი, რომელიც „მზის ქარის“ სახით მოდის დედამიწის ორბიტის რაიონში, როგორც ჩანს, ჰელიუმის იონების გარკვეულ რაოდენობას შეიცავს.

მომავალში, როცა რაკეტები მიაღწევენ არა მარტო მარსის ორბიტას, არამედ სატურნისა და პლუტონის რაიონებსაც, ჩვენი ცოდნა პლანეტათშორისი პლაზმის შესახებ არსებითად გაფართოვდება. კერძოდ, უნდა შემოწმდეს ჰიპოთეზები იმის შესახებ, რომ მარსის მახლობლად „მზის ქარი“ ეგრეთწოდებულ „მზის ბრიზად“ გადაიქცევა, ხოლო სატურნის ორბიტის ფარგლებში და უფრო შორს პლანეტათშორისი პლაზმა ვარსკვლავთშორის პლაზმად გარდაიქმნება. მკვლევარნი ვარაუდობენ, რომ მზის სისტემის ამ დედამიწისაგან დაშორებულ რაიონებში ფიზიკური პირობები უკვე არ განსხვავდება იმ პირობებისაგან, რომლებიც მთელ ჩვენს გალაქტიკაშია გაბატონებული.

ქართული ღვინო საგზვარგარეთ

ზესტაფონი. (საკ. კორ.). **წარმატებით მუშაობენ სამტრესტის ზესტაფონის ღვინის ქარხნების კოლექტივები, რომლებიც გადაჰარბებით ასრულებენ დავალებებს.**

პირველი ქარხნის კოლექტივმა ამ დღეებში 30.000 დეკალიტრი მაღალი ხარისხის ღვინო გაუგზავნა მოსკოვის, ლენინგრადის, ტაშკენტის, ალმა-ატის მშრომელებს.

30.000 დეკალიტრი ღვინო გაიგზავნა აგრეთვე ჩეხოსლოვაკიასა და დემოკრატიულ გერმანიაში.

ფეიქართა ღამის სანატორიუმში

ცვლამ მუშაობა დაამთავრა, და ფეიქართა ერთი ნაწილი საწარმოდან გაემართა ღამის სანატორიუმში, რომელიც კომბინატის მახლობლად მდებარეობს. აქ ისინი პროფკავშირული საბზურებით მკურნალობენ, ისვენებენ და შემდეგ კვლავ სამუშაოდ მიდიან.

გორის ბამბეულის კომბინატის ღამის სანატორიუმი უკვე მეშვიდე წელია მუშაობს. მარტო მიმდინარე წელს აქ 275 ფეიქარმა იმკურნალა.

ალ. ტაბატაძე.

ოქროს ეკვსეული

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ საბჭოთა გროსმაისტერები ჯერ კიდევ უკანასკნელ ტურამდე გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები ტელ-ავივის საკადრაკო ოლიმპიადაზე.

მაგრამ უკანასკნელი ტურის შედეგებს მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საპრიზო და მომდევნო ადგილების განაწილებისათვის. უკანასკნელ ტურში სსრ კავშირის გუნდი თამაშობდა ჩეხოსლოვაკიელ მოკადრაკეებთან. ოთხი პარტიიდან სამი ყაიმით დამთავრდა, მეოთხეში სპასკიმ დაამარცხა ინსონი. შეხვედრის ანგარიშია 2,5:1,5 სსრ კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

ამრიგად, საბჭოთა გროსმაისტერებმა 52 შესაძლებლიდან 36,5 ქულა შეაგროვეს და ზედიზედ მეშვიდეჯერ მოიპოვეს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაწესებული ოქროს თასი. სსრ კავშირის გუნდის წევრებს — ტ. პეტროსიანს, მ. ბოტვინიკს, ვ. სმისლოვს, ბ. კერესს, ლ. შტეინსა და ბ. სპასკის გადაეცათ ოქროს მედლები.

მეორე საპრიზო ადგილი ხვდათ იუგოსლავიელ მოჭადრაკეებს. ისინი 4,5 ქულით ჩამორჩნენ ჩემპიონს. მესამე ადგილზე გამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი. მომდევნო სამი ადგილი დაიკავეს უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა კოლექტივებმა.

საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

საბჭოთა ფეხბურთელები განაგრძობენ გამოსვლებს საზღვარგარეთის სტადიონებზე.

დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი ჯერ ირანს ეწვია, აქედან კი კუვეიტში გაემგზავრება. პირველი მატჩი როსტოველებს თავრიზში ჰქონდათ. ისინი აქ შეხვდნენ ირანის აზერბაიჯანის ნაკრებს. 90 წუთი ისე ამიოწურა, რომ მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ.

ბაკოს „ნეფტჩიანიკის“ ფეხბურთელთა კოლექტივი პაკისტანში ჩავიდა და პირველ მატჩში ქალაქ ჩიტაგონგის ნაკრებ გუნდს შეხვდა. ბაკოელები აღმავლობით იბრძოდნენ და მოიგეს მატჩი ანგარიშით 2:0.

რობორეგ ვიუწყებოდით დონეცკის „შახტიორმა“ ტოგოს ნაკრებთან შეხვედრა ფრედ (1:1) დაამთავრა. მეორე მატჩი დონეცკელ ფეხბურთელებს ჰქონდათ ტოგოს ჩემპიონთან. მეტოქეებმა ორ-ორი ბურთი გაიტანეს და ფრეს დასჯერდნენ.

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ბელგრადიდან სოფიაში ჩავიდა, სადაც 29 ნოემბერს მატჩი ექნება ბულგარეთის ნაკრებთან. ჩვენს ფეხბურთელებს ბულგარეთის დედაქალაქში გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. საბჭოთა ნაკრებმა ჩაატარა პირველი წვრთნა.

ჩემპიონატები • ტურნირები

შეწირვების ტური

ქალთა საკავშირო საკადრაკო ჩემპიონატის გუშინდელი მეოთხე ტური ბევრად უფრო მძაფრი გამოდგა.

ნ. გაფრინდაშვილმა თერმენთან ა. ერგლესთან თავის საყვარელ ესპანურ პარტიას მიმართა. ლატვიის ჩემპიონი დებიუტშივე შეცდა და ძმის პოზიცია მიიღო. ხარისხის მოხდენილი შეწირვით გაფრინდაშვილმა თავდაცვის ყოველგვარი შესაძლებლობა მოუსპო მეტოქეს. ზედიზედ სამი პაიკის დაკარგვის შემდეგ ერგლემ მე-19 სვლაზე შეწყვიტა წინააღმდეგობა.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ო. რუბცოვამ კარგად იცოდა, თუ როგორ ატარებს კომბინაციურ იერიშს ნ. ალექსანდრია. ამიტომ მან საგულებით სწორად აირჩია კარო-კანის დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი, სადაც თერმებს მეფის ფრთაზე შეტევის არავითარი შესაძლებლობა არა აქვთ. სამაგიეროდ, თეთრები იღებენ ერთგვარ უპირატესობას ცენტრში. ამ გარემოებით საქართველოს ჩემპიონმა ისარგებლა. პაიკის ორიგინალური შეწირვით (რომელს მიღებაზე რუბცოვამ უარი თქვა) ნ. ალექსანდრიამ მეტოქე ძნელად გადასაჭრელი პრობლემების წინაშე დააყენა. მალე რუბცოვამ დათმო პაიკი, მაგრამ მისი მდგომარეობა არ შემსუბუქებულა. პარტია გადაიდო, სადაც ალექსანდრიას მოსაგები პოზიცია აქვს.

ორი ლიდერის ე. რუბცოვასა და ნ. ნონოვლიოვას შეხვედრაში ნ. კონოპლიოვამ ძველინდური დაცვის პასიური ვარიანტი აირჩია და ვერ შეძლო მდგომარეობის გათანაბრება. მალე მან დაკარგა ხარისხი და უკვე 25-ე სვლაზე დანებდა.

მ. რანიკუმ პაიკის შეწირვით მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ი. გასპარიანი. მდგომარეობის გამარტივების მიუხედავად საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა „გამოიტყუა“ შავების მეფე და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ყველაზე შეთანხმდნენ რ. ქახბინა-უ. კუტი, რ. ვაპნირხიანა-ვ. ბორისენკო და ო. ანდრეევა-კ. ზვორიკინა. დანარჩენ პარტიები გადაიდო.

ამრიგად, ოთხი ტურის შემდეგ ოთხ ქულით ლიდერია ე. რუბცოვა. მ. რანიკუს 3,5 ქულა აქვს, ნ. ნონოლიოვას — 3 ქულა, ნ. გაფრინდაშვილს — 2,5 ქულა და ერთი გამოტოვებული პარტია.

გ. გამრეკელი.

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა წარმატება

ხარკოვში დამთავრდა სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში.

გუნდურ პაექრობაში საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლა ძირითადათ მოსკოვის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ტანმოვარჯიშეთა შორის მიმდინარეობდა. მათ შორის უძლიერესი აღმოჩნდა და „ბურევესტნიკის“ ჩემპიონი გახდა მოსკოვის ტანმოვარჯიშეთა კოლექტივი. საქართველოს გუნდმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. აზერბაიჯანელები მესამენი იყვნენ.

პირად ასპარეზობაში ქალთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა მოსკოველი გ. ბურუჩევა, რომელმაც მრავალჯიდში 73,95 ქულა შეაგროვა. ვაჟთა შორის გაიმარჯვა უკრაინელმა ი. კორჩმა (112,6 ქულა).

ს. ს. ძიძაძე

მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე სტეფანე სერგოსაძე ძიძაძე.

ს. ძიძაძე დაიბადა 1892 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში. 1911 წელს დაამთავრა თბილისის მეორე გიმნაზია, ხოლო 1917 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ქიმიური განყოფილება. 1922 წლამდე მოღვაწეობდა სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭოს ქიმიური მრეწველობის მთავარ სამმართველოში, სადაც სხვადასხვა პასუხსაგები თანამდებობა ეჭირა. მრავალჯერ იყო დაჯილდოებული კარგი მუშაობისათვის.

1922 წელს გადმოგიდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო ჯერ ქიმიური ტექნიკუმის დირექტორად, ხოლო 1928-31 წლებში ლექტორად იყო ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში. 1931 წელს კითხულობდა ქიმიის კურსს ამიერკავკასიის სამთომეტალურგიულ ინსტიტუტში. ასრულებდა დოცენტის მოვალეობას სამშენებლო და ენერგეტიკულ ინსტიტუტებში. 1934 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის დოცენტად, 1962 წლიდან — ამავე კათედრის პროფესორად. 1943 წლიდან სკკპ წევრი იყო.

მის კალამს ეკუთვნის 22 სამეცნიერო და მეთოდური ხასიათის შრომა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საელექტროენერგეო ზოგადი და არაორგანული ქიმიის კურსისა, რომელიც შვიდჯერ გამოიცა და რომელზეც ათეული წლების მანძილზე იზრდებოდნენ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა სპეციალისტები.

სამეცნიერო და პედაგოგიურ დარგში უმწიკლო მუშაობისათვის პროფესორი ს. ძიძაძე. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, „სპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

პროფესორი ს. ძიძაძე იყო ერთ-ერთი გამოჩენილი ქიმიკოსი-მეთოდისტი საქართველოში. მისი ლექციების შინაარსი და სიღრმე ხიბლავდა მსმენელებს.

მეცნიერის, საუკეთესო პედაგოგის და აღზრდელის, უაღრესად კეთილსინდისიერი და პატიოსანი მოქალაქის ხსოვნა დიდხანს დარჩება მის მეგობართა და აღზრდილთა გულში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი;

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი;

დ. ი. მენდელეევის სახელობის ქიმიური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა.

უეამოწმეთ, ვინ რა მოიგო



 დუშეთი. (საკ. კორ.). გუშინ აქ კულტურის სახლის დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1964 წლის მეთერთმეტე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟის გათამაშება, რასაც მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი დაესწრო.

უკვე ცნობილია პირველი ბედნიერი ბილეთები. აი ისინიც: ავტომანქანა „ვოლგას“ მიიღებს ის, ვისაც 23224 სერიის № 371 ბილეთი აქვს, „მოსკვიჩი“ ხვდა 25155 სერიის № 457 და 24175 სერიის № 353 ბილეთებს. „ზაპოროჟეცით“ გაიხარებენ 24192 სერიის № 096 და 24524 სერიის № 320 ბილეთების პატრონები.

ბედნიერი ბილეთების რიცხვი ამით არ მთავრდება. პიანინოები ხვდათ 24279 სერიის № 100 და 23263 სერიის № 257 ბილეთებს, ტელევიზორი „რუბინი“ მოიგო 23335 სერიის № 109 ბილეთმა და სხვ.

ტირაჟის ოფიციალური ცხრილი ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გამოქვეყნდება.

ბრაკონიერი დასჯილია

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). დაბა მაიაკოვსკის მცხოვრები ამირან ახალაძე წინათაც იყო შენიშნული ბრაკონიერობაში, მაგრამ მაშინ დაუსჯელად გადარჩა. გათამამებულმა ახალაძემ ამას წინათ მდინარე ხანისწყალში დინამიტით დიდძალი თევზი გაანადგურა. ამჯერად კი ბრაკონიერი მახეში გაება.

მაიაკოვსკის რაიონის სახალხო სასამართლომ ფაუნის მტერს ა. ახალაძეს ერთი წლის ვადით შრომაგასწორებითი მუშაობა მიუსაჯა. მასვე დაეკისრა მიყენებული ზარალის — 50 მანეთის ანაზღაურება.

თქვენთვის, მომხმარებელნო!

გვთავაგობენ ახალ მოდელებს

გრძელ მაგიდაზე ქალის, ბავშვისა და მამაკაცის ახალი სხვადასხვა მოდელის ფეხსაცმელი აწყვია. მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებული ფეხსაცმლის მრეწველობის ტექნიკურ-ეკონომიური სამხატვრო საბჭოს წევრები, სსრ კავშირის საავიარო პალატის თბილისის ფილიალის, თბილისის ფეხსაცმლის წარმოების გაერთიანება „ისნის“, ბათუმის ტყავფეხსაცმლის ფაბრიკის, თბილისის ფეხსაცმელგაკრობის სამმართველოს მუშაკები, მხატვარი-მოდელიერები, ტექნოლოგები და ინჟინრები, ისინი ვინც მუშაობენ ფეხსაცმლის ხარისხის ამაღლებაზე და მის გარეგნულ სილამაზეზე. ამ საქმეს რესპუბლიკაში ემსახურება მრავალი მხატვარი-მოდელიერი, რომელთა ნამუშევრები ძირითადად უპასუხებს მომხმარებელთა მოთხოვნილებას.

და აი სამხატვრო საბჭო განიხილავს ფეხსაცმლის ახალ მოდელებს. გამოაკლისი როდია ისეთი შემთხვევები, როცა ასეთ სხდომაზე იწუნებენ ახალ მოდელს, საქმიან მითითებებს აძლევენ ავტორებს მოდელის გასუმჯობესებლად. ზოგ მათგანს კი გაბედულად აძლევენ რეკომენდაციას წარმოებაში დასანერგავად.

ასე იყო ამ დღესაც. ბევრი ახალი მოდელი მოიწონეს საბჭოს წევრებმა. განსაკუთრებული მოწონება ხვდა სამხატვრო საკონსტრუქტორო ბიუროს მოდელიერის რ. კაზარიანისა და მხატვარ ს. ბახტაძის მიერ წარმოდგენილ მამაკაცის ზამთრის ფეხსაცმლის ახალ მოდელს, რომელიც სამართლიანად შეფასებულ იქნა ფრიადზე. ეს ლამაზი ფეხსაცმელი, რომელიც უთუოდ მომხმარებელთა მოწონებას დაიმსახურებს, ეღირება ცხრამეტ მანეთამდე. აღსანიშნავია, რომ ამ სრ მოდელიერ-მხატვრის მიერ წარმოდგენილი ორმოცი ნიმუშიდან საბჭომ მაღალი შეფასება მისცა 28 მოდელს.

ფრიადი შეფასება ხვდა ბათუმის ფეხსაცმლის № 4 ფაბრიკის მოდელიერის ა. პოღოსიანის ქალის ფეხსაცმლის ახალ ნიმუშს. იგი მეტად მოხდენილი და ლამაზია. ჩვენი ქალები სიამოვნებით შეიძენენ მას.

მოდელიერებს არც ჩვენი პატარები დარჩენიათ უყურადღებოდ. ბაგალითად, თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ მოდელიერ-მხატვრების მიერ წარმოდგენილი ბავშვის ფეხსაცმელის სამ მოდელს მაღალი შეფასება ხვდა. ისინი ძალიან დინერგება წარმოებაში. ასევე მაღალი შეფასება მიიღო ამავე გაერთიანების მოდელიერის ლ. გრიგორიანის მიერ შექმნილმა მამაკაცის გვირისტულ-წებოვანი ფეხსაცმლის ახალმა მოდელმა.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს სამხატვრო-საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარ მხატვარს ამხ. ს. ღამბაშიძეს, რომელმაც თქვა:

—სამხატვრო საბჭო წელიწადში ორჯერ მართავს თავის სხდომებს, საავარო ორგანიზაციებისა და ფეხსაცმლის წარმოების მუშაკებთან ერთად განიხილავს და ამტკიცებს ახალ მოდელებს. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ სილამაზესთან ერთად ახალი ფეხსაცმელი თავისი ღირებულებით ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის. ჩვენი მიზანია შევქმნათ ისეთი მოდელების ფეხსაცმელი, რომელიც გამორჩევა გარეგნული სილამაზით, სიმსუბუქით და მაღალი ხარისხით, რომ ქართული წარმოების ფეხსაცმელი კვლავ იზიდავდეს ფართო მომხმარებელს.

სურათზე: (ზევით) ტექნიკურ-ეკონომიური სამხატვრო საბჭო თავის სხდომაზე განიხილავს ფეხსაცმლის ახალ მოდელებს; (ქვევით) აი ამ ახალმა მოდელებმა ფრიადი შეფასება მიიღეს და მალე დაიწყება მათი მასობრივი გამოშვება. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გამოიწერეთ გაზეთი „პრასნაია ზვეზდა“

„**პრასნაია ზვეზდა**“ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური ორგანოა. იგი განკუთვნილია სამხედრო და სამოქალაქო მკითხველთა ფართო წრისათვის.

გაზეთი ყოველმხრივ აუწყებს ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ამბებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას სამხედრო მშენებლობის დარგში, სამხედრო საქმეში რევოლუციის პრობლემებს.

გაზეთის ფურცლებზე ასახვას პოულობს საბჭოთა შეიარაღებული ძალების მრავალფეროვანი ცხოვრება და მოღვაწეობა, მეთაურების, პოლიტორგანოების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა მეომართა სწავლებისა და აღზრდის დარგში.

რედაქცია აქვეყნებს მასალებს სამშობლოს, დამცველთა საგმირო საქმეებზე, არმიისა და ფლოტის მოწინავე ადამიანებზე, სტატიებს მორალურ თემებზე, მოთხრობებსა და ნარკვევებს, წიგნების რეცენზიებს. გაზეთში ფართოდ არის წარმოდგენილი სპორტული ცხოვრება. ღიდი ადგილი ეთმობა სამხედრო-ტექნიკურ საკითხებს, კოსმოსური ფრენის პრობლემებს, ახალ იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას. მკითხველი გაზეთში ნახავს მასალებს სოციალისტური ქვეყნების მოძმე არმიებზე, უცხოეთის სამხედრო ინფორმაციას.

„**პრასნაია ზვეზდაზე**“ ხელმოწერას შეუზღუდავად იღებენ ხელმოწერის ორგანიზატორები სამხედრო ნაწილებში, ხომალდებზე, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დაწესებულებებსა და სამხედრო სასწავლებლებში, აგრეთვე ყველა მოქალაქისაგან „სოიუზპეჩატის“ ხელმოწერის პუნქტები, ფოსტამტები, კავშირგაბმულობის კანტორები და განყოფილებები, პრესის საზოგადოებრივი გამავრცელებელი საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სასწავლებლებში.

გამომცემლობა „პრასნაია ზვეზდა“.

ეკრანის პრემიერა

დღეს თბილისის ეკრანებზე ნაჩვენები იქნება კიდევ ერთი ახალი მხატვრული ფილმი „შიში“.

ეს ფილმი შექმნილია კინოსტუდია „ბარანდოვის“ (ჩეხოსლოვაკია) შემოქმედებითი კოლექტივის მიერ.



სცენარი ე. ფიკერის რომანის „მეცხრამეტე კილომეტრის“ მიხედვით დაწერეს ლ. მოტნიმ და პ. შულხოფმა. ფილმის დადგმა განახორციელა რეჟისორმა პ. შულხოფმა.

მთავარ როლს ასრულებს ცნობილი მსახიობი რუდოლფ გრუშინსკი.

• • •

სურათზე: კადრი ფილმიდან „შიში“.

KPACHAЯ ЗВЕЗДА

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

26 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის **სახელმწიფო აკადემიური** — ფაუსტი და ვალპურგის ღამე, **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — ჭინჭრაქა (მე-14 და გაცდენილი აბონემენტები), **მარჯანიშვილის სახელობის** — მკვდრის მზე (მე-20 აბონ. მე-10 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ჩემი უფროსი და (მე-6 აბონ. მე-3 წარმ.).

ტელევიზია

26 ნოემბერი

12.00 — კინონარკვევები, 12.40 — მხატვრული ფილმი „დატყვევებული გუნდი“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — უფროსკლასელთათვის მხატვრული ფილმი „მე კოჟა მქვია“, 19.35 — სატელევიზიო ჟურნალი „ჯანმრთელობა“, 20.15 — გადაცემა — „მშენებელთა გამოფენაზე“, 20.30 — კინონარკვევი, 20.40 — გადაცემა — „მონღოლი ხალხის დიდი დღესასწაული“, 20.50 — გადაცემა — „ზაკარია ფალიაშვილის ოპერა „ლაკადარა“, 21.00 — მხატვრული ფილმი „დატყვევებული გუნდი“, 22.45 — ახალი ამბები.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი გაზეთ „კომუნისტში“ 1964 წლის 18 ნოემბერს გამოქვეყნებული განცხადების დამატებით იუწყება, რომ, გარდა **სოხუმისა** (ელდასური), დაუსწრებელ სწავლებაზე მიღება წარმოებს აგრეთვე **ქუთაისის** ფილიალში.

მისამართი: ქ. ქუთაისი. 1905 წლის რევოლუციის ქ. № 2.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. კომუტატორი: 8 15-00-დან 09-მდე. რედაქტორის მოადგილეებს — 9 93 03, 8-08-67, ბ/მგ მდივნის — 9 72-80, ხამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87 61, პროპაგანდის — 8 22-89, მრეწველობის — 8-20-43, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27 54, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-35 01, ინფორმაციის — 8-16 90, უცხოეთის — დამ. 5-22, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 8-19-99, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИС